აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№133 (25.013) სამშაბათი, 6 - 7 დეკემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 12-17, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 769 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

მინდა სამძიმარი გამოვუცხადო უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლების ოჯახებს, მათ ახლობლებს, ნათესავებს - ჩვენთვის ეს ძალიან დიდი ტკივილია, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, უკრაინაში დაღუპული ქართველი სამხედროები საქართველოსთვის დიდი დანაკლისია. მან კიდევ ერთხელ განმარტა, რომ წინა შემთხვევების დროს დაღუპული სამხედროების გადმოსვენება საქართველოს მთავრობამ უზრუნველყო და ხარჯებს სრულად მთავრობა ფარავს. ცნობისათვის, უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ 6 ქართველი დაიღუპა.

* * *

საქართველოს პრეზიდენტი პოლონეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, გუშინ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ანდრეი დუდას პირისპირ შეხვდა. პრეზიდენტებმა განიხილეს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარების საკითხები. სალომე ზურაბიშვილმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ ოსვენციმში, წმ. გრიგოლ ფერაძის მოწამებრივი სიკვდილიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, ასევე, ქალაქ კრაკოვში პატივი მიაგო და გვირგვინით შეამკო პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკისა და მისი მეუღლის საფლავი.

* * *

ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი თანამემამულეები დაიღუპნენ, თუმცა ასევე უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოს უკვე გავლილი აქვს ის მძიმე ომი, რომელიც დღეს უკრაინაში მიმდინარეობს, - განაცხადა პარლამენტის ვიცესპიკერმა არჩილ თალაკვაძემ. როგორც მან აღნიშნა, „ჩვენი ტერიტორიების უკანონო ოკუპაცია გრძელდება რუსეთის ფედერაციის მხრიდან და საქართველომ და ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, რას ნიშნავს სამხედრო აგრესია, რას ნიშნავს ომი და რას ნიშნავს ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისთვის“.

* * *

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობის კანდიდატმა გიორგი მუმლაძემ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად ალიკა კუპრავა, ხოლო რეგიონალურ ხელმძღვანელად გიორგი კაპანაძე დაასახელა. როგორც ენმ-ს თავმჯდომარეობის კანდიდატი აღნიშნავს, საარჩევნო პერიოდში მთავარი თემა საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ საკაშვილის ჯანმრთელობის საკითხი იქნება.

* * *

ძველი ძალოვანი მინისტრების, სახელების პოლიტიკურ ლიდერებად წარმოჩენა იქნება დამანგრეველი, დამღუპველი მესიჯი ჩვენი საზოგადოებისთვის, - განაცხადა ენმ-ის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა. მისივე თქმით, „შეუძლებელია, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ თქვას, რომ მე ვბრუნდები ზუსტად ისეთი, როგორიც ვიყავი.

მოამზადა
ია შველიძემ

მთავრობა კურორტების განვითარების გეგმის პრეზენტაციას გამართავს

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ, მთავრობის სხდომის დაწყებისას განაცხადა, რომ მთავრობა კურორტების განვითარების გეგმის პრეზენტაციას უახლოეს დროში გამართავს

მისივე თქმით, საქართველოში არსებული 100-ზე მეტი კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტის მდგომარეობა შეისწავლეს და განვითარების პოტენციალი დამუშავდა.

პრემიერის განცხადებით, იგეგმება კურორტების, მათ შორის ბალნეოლოგიური კურორტების გასაყიდად გამოტანა.

„ჯამში, საქართველოში 300-მდე კლიმატური, ბალნეოლოგიური კურორტი და საკურორტო ადგილი გვაქვს, რომელთა დიდი ნაწილი უბრალოდ არ ფუნქციონირებს. ეს დიდი პოტენციალია. ჩვენი ამოცანაა, რომ აღნიშნული პოტენციალი მაქსიმალურად გამოვიყენოთ. უფრო დეტალურად გვექნება პრეზენტაცია. უნდა გამოვიტანოთ გასაყიდად აღნიშნული კურორტები, მათ შორის, ბალნეოლოგიური კურორტები,“ - განაცხადა პრემიერმა.

ამასთან, ღარიბაშვილის თქმით, საქართველოში ყველაზე პოპულარული ადგილების რეაბილიტაცია-განახლება იგეგმება.

„ბიუჯეტში მინიმუმ 200 მილიონი ჩავდეთ. ჩვენ დავიწყებთ ყველაზე პოპულარული ადგილების - ბორჯომის, ბაკურიანის, ყაზბეგის, მესტიის, წყალტუბოს, ბათუმის, ქუთაისის, მცხეთის სრულ რეაბილიტაცია-განახლებას. ასევე, მანგლისი-სიონის და ომალოს მიმართულებით ძალიან საინტერესო პროექტების განხორციელებას ვაპირებთ,“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ონკოგინეკოლოგიური სერვისებისთვის საჭირო სამედიცინო ტექნიკით აღიჭურვა

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

რუხისა და ბათუმის ჰოსპიტლები ონკოგინეკოლოგიური სერვისებისთვის საჭირო სამედიცინო ტექნიკით აღიჭურვა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს

უწყების ცნობით, ტექნიკა ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ კლინიკებს ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასმა გადასცა.

„თანამედროვე ენდოსკოპიური აპარატი სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის რეგიონის მოსახლეობას საშუალებას მისცემს, მიიღოს ის სამედიცინო მომსახურება, რომელიც მნიშვნელოვანია კიბოს ადრეული დიაგნოსტიკისა და პრევენციისთვის. შესაბამისი ტრენინგები გაიარეს ექიმებმაც. პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმების ცოდნის გაღრმავება ონკოგინეკოლოგიაში ხელს შეუწყობს კიბოს პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

საშვილოსნოს ყელისა და საშვილოსნოს ტანის კიბო საქართველოში გავრცელებული ავთვისებიანი სიმსივნეების ათეულში შედის. დაავადების დაგვიანებით გამოვლენა სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, ადრეული დიაგნოსტიკა კი საწყის ეტაპზე მკურნალობის ეფექტიანობას ზრდის. პროექტი მიმართულია სკრინინგული სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, საქართველოს რეგიონებში ონკოლოგიური სერვისების ხარისხის გაუმჯობესებასა და კიბოს შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე.

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასსა და სამედიცინო ჰოლდინგს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი 2022 წლის მარტში გაფორმდა. ჩეხეთის „მედევაკის“ პროგრამის ფარგლებში, ბათუმისა და რუხის ჰოსპიტლებს 142 000 ევროს ღირებულების ონკოგინეკოლოგიური სამედიცინო აღჭურვილობა გადაეცა“, - ნათქვამია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რა პარადიგმა შეცვალა უკრაინამ?

3

არჩილ ფარტენაძე: კარგ ომს ცუდი მშვიდობა სჯობია

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

კამპანია გრძელდება

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ქედის მუნიციპალიტეტში ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი კამპანია გრძელდება, რომლის ფარგლებში უფლებადამცველ ქალთა საერთაშორისო დღე აღინიშნა

შეხვედრას ბათუმის მასწავლებელთა სახლის სამოქალაქო განათლების მიმართულების პედაგოგი თიკო გიორგაძე უძღვებოდა. იგი დამსწრეთ ძალადობის კამპანიაში საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობაზე ესაუბრა, ხაზი გაუსვა სამოქალაქო განათლების აუცილებლობასა და პედაგოგების მნიშვნელოვან როლს მოზარდების ცნობიერების ამაღლებაში.

შეხვედრას ზუმ-პლატფორმის საშუალებით ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი თეონა ჩიქოვანი ჩაერთო. იგი მონაწილეებს ქედის მუნიციპალიტეტში დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დანიური ორგანიზაცია „კვინფოს“ მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ქალთა გაძლიერება და სრულფასოვანი მონაწილეობა ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელებაში“ მნიშვნელობაზე, განხორციელებულ საქმიანობასა და სამომავლო ნაბიჯებზე ესაუბრა.

შეხვედრის მონაწილეებმა ნახეს პროექტის ფარგლებში მომზადებული ვიდეორგოლი ქედის მუნიციპალიტეტში არსებულ სტერეოტიპებზე.

ღონისძიება ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სოციალური პროგრამის ფარგლებში გაიმართა.

„კონკურენცია და კლიმატის ცვლილებები“

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

5 დეკემბერს 30-ზე მეტ ქვეყანაში მსოფლიო კონკურენციის დღე სხვადასხვა აქტივობით აღინიშნება - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო ამ თარიღს უკვე მეორე წელია აქტიური ღონისძიებებით უერთდება

კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ცნობით, მიმდინარე წლის 16-17 ნოემბერს, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს, სემეკის, ეროვნული ბანკის, კომუნიკაციების კომისიის და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ საქართველოში პირველი საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებები“ ჩატარდა, რომელიც საერთაშორისო კონკურენციის კვირეულის თემატიკას მიეძღვნა. კონფერენციაში მონაწილეობდა 20 ქვეყნის დელეგაცია, მათ შორის, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) კონკურენციისა და მომხმარებელთა პოლიტიკის მიმართულების ხელმძღვანელი ტერესა მორეირა და სხვა მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები. თემატური სესიების ფორმატში, მონაწილეებმა ერთმანეთს კონკურენციის და მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში საქართველოსა და ევროპაში მიღებული გამოცდილება გაუზიარეს.

„საერთაშორისო კონფერენციამ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და შეფასებები მიიღო. ვფიქრობთ, რომ ეს პლატფორმა ეტაპობრივად განვითარდეს და მსოფლიო კონკურენციის კვირეულის ფარგლებში თბილისიც აქტიურ ლოკაციად მოინიშნოს. 2020 წლიდან დღემდე, კონკურენციის პოლიტიკის მიმართულებით, უმნიშვნელოვანესი რეფორმები განხორციელდა. კერძოდ, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, საქართველოს აქვს DCFT-ს მოთხოვნებთან შესაბამისი, ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებული კანონმდებლობა. 2021 წლიდან სააგენტოს „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ კანონის“ აღსრულება ეკისრება, 2022 წლის პირველი ივნისიდან კი ძალაში მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონი შევიდა. სააგენტო აქტიურად ვითარდება და მთავარი მიზანი სამართლიანი კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა და მომხმარებელთა უფლებების დაცვაა. მინდა, კონკურენციის საერთაშორისო დღე მივულოცო კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გუნდს, ქართულ საზოგადოებას, ვინც კონკურენციის პოლიტიკის ეფექტური აღსრულების პროცესში სხვადასხვა დროს აქტიურად იყო და დღესაც არის ჩართული. მინდა, მადლობა გადავუხადო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნესისა და სამეცნიერო წრეების, საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, მედიას და დონორ ორგანიზაციებს, სამთავრობო და საპარლამენტო გუნდს, კოლეგა მარეგულირებელ უწყებებს მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის. ყველას გილოცავთ კონკურენციის საერთაშორისო დღეს!“, - განაცხადა საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძემ.

2022 წელს, მსოფლიო კონკურენციის დღე სლოგანით: „კონკურენცია და კლიმატის ცვლილებები“ აღინიშნება.

მოახლოებული ზამთრის ფონზე

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

დეკემბერი დადგა, მაგრამ აჭარის მთიანეთში თოვლი და სუსხი არ ჩანს. ასეთ ამინდებს მაქსიმალურად იყენებენ იმ ფირმებისა და კომპანიების ხელმძღვანელები, რომლებსაც ცალკეულ ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოები კონკურსის შედეგად აქვთ აღებული

ერთი ასეთი ობიექტია დაბა ხულოში სახელოვნებო სკოლის მშენებლობა.

ახალ შენობაში სამხატვრო გალერეა და სახელოვნებო სკოლა განთავსდება.

პროექტი გარდამავალია. მისი მშენებლობა წელს მაისში დაიწყო და გაისად წლის ბოლოს დასრულდება. სამუშაოების ღირებულება 1 491 915 ლარს შეადგენს.

შენობა სრულად იქნება ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის.

- მიმდინარე სამუშაოებს აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატ ფრიდონ ფუტკარაძესთან ერთად გავეცანით, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, - კომპანიის ხელმძღვანელობა ყველა სამუშაოს პროექტის შესაბამისად ასრულებს, რაც გარანტიაა, რომ მშენებლობა ხარისხიანად და ვადებში დასრულდება.

არასტანდარტულ მანდარინზე - სუბსიდია

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებისას განაცხადა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, სამრეწველო გადამუშავების (არასტანდარტულ) მანდარინზე სუბსიდია გაიცემა.

„ჩვენი მონაცემებით, 45 ათას ტონამდე ციტრუსია მოსალოდნელი წელს. ჩვენ საექსპორტო მანდარინს 20-ზე მეტ ციტრუსის მიმღებ-გადასამუშავებელ საწარმოში მივიღებთ, ხოლო არასტანდარტულ მანდარინზე სუბსიდიას გავცემთ. ეს კარგი შეღავათი იქნება ჩვენი ფერმერებისთვის“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

ამირან გურიელიძე

გასულ თვეში მხოლოდ 5 პროდუქტი გაიაფდა

ბოლო რამდენიმე თვეა, მსოფლიოში მიმდინარე ინფლაციური პროცესების გამო, იმპორტდამოკიდებულ საქართველოშიც საკვები პროდუქტი პერმანენტულად ძვირდება, იმათი ჩამონათვალი კი, რაზეც ფასები იკლებს - მცირდება. თუ შარშან (ან უფრო ადრე) სტატისტიკურ ჩამონათვალში გაიაფებული საქონლის რაოდენობა 10-ს აღემატებოდა, ბოლო თვეებში ფასები მხოლოდ 4-5 პროდუქტზე მცირდება.

ამა წლის ნოემბერშიც ჩვენთან მხოლოდ 5 საკვები პროდუქტი გაიაფდა: ქლიავი - 26,37%-ით; ყურძენი - 18,59%-ით; კომბოსტო-13,76%-ით; ნიორი - 6,90%-ით; ბადრიჯანი - 0,93%-ით.

ცნობისთვის: 2022 წლის ნოემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0,5 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 10,4 პროცენტი შეადგინა. ამის შესახებ მონაცემებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

ამირან გურიელიძე

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

საქართველოს რაგბი დიდი 10-ის მეორე წრე სარაგბო კლუბმა „ბათუმმა“ გამარჯვებით დაიწყო. მე-10 ტურში „ბათუმი“ შინ „ხვამლს" დაუპირისპირდა და 8:6 დაამარცხა. ბათუმელთა მხრიდან ჯარიმა მამუკა ნინოძემ ზუსტად შეასრულა, ხოლო ლელო გიორგი მენაბდის ანგარიშზეა. ამ დროისთვის „ბათუმი“ სატურნირო ცხრილში 20 ქულით მერვე ადგილზე იმყოფება. მომდევნო ტურში, 9 დეკემბერს, გასვლაზე იგი „ყაზბეგს“ ესტუმრება.

* * *

„რა? სად? როდის?“ - ეს ინტელექტუალური თამაში ხელვაჩაურში გაიმართა, სადაც მუნიციპალიტეტის 30 სკოლის 170-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. სამი გამარჯვებული სკოლა გამოვლინდა. პირველი ადგილი - სალიბაურის, მეორე - ახალსოფლის, მესამე ადგილი კი თხილნარისა და ორთაბათუმის საჯარო სკოლებმა გაინაწილეს. ტურნირის ორგანიზატორი აჭარის ინტელექტკლუბი და ხელვაჩაურის მერიაა. აღნიშნული ღონისძიებისთვის თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 4 ათასი ლარი იხარჯება.

* * *

ზედა სამებაში მცხოვრებნი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ითხოვენ. ამბობენ, რომ გზის დაზიანებულ და ვიწრო მონაკვეთზე გადაადგილება რთულია. განსაკუთრებული პრობლემა სახანძრო და სასწრაფო ბრიგადების გამოძახების დროს ექმნებათ. გზის აღნიშნული მონაკვეთით 30-მდე ოჯახი სარგებლობს. ხელვაჩაურის მერის განცხადებით, ზედა სამების სოფლის გზაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები უკვე დაწყებულია. აღნიშნულ დასახლებაში მცხოვრებ ოჯახთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. მიმდინარე წელს საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისთვის ხელვაჩაურის ბიუჯეტიდან მილიონ 400 ათასი ლარი დაიხარჯა.

* * *

ბათუმის საკალათბურთო გუნდმა საქართველოს სუპერლიგაში მეორე გამარჯვება მოიპოვა. ბუბა ბერიშვილის შეგირდებმა მე-6 ტურის შეხვედრაში „თსუ“-ს უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში 82:80 დაამარცხეს. ბათუმელთა წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა კაილი რიდლიმ. ამერიკელმა ლეგიონერმა 36:21 წუთი ითამაშა და ამ დროის განმავლობაში 30 ქულით 10 მოხსნითა და 6 გადაცემით ორმაგი დუბლი გაიფორმა. სტუმართა მხრიდან კი, 21 ქულით, 5 მოხსნითა და 13 გადაცემით, ასევე ორმაგი დუბლი გაიფორმა საქართველოს ნაკრების წევრმა გიორგი ცინცაძემ. ამ დროისთვის შავიზღვისპირელები სუპერლიგის სატურნირო ცხრილში 2 მოგებითა და 3 მარცხით მე-8 პოზიციაზე იმყოფებიან. მომდევნო შეხვედრას „ბათუმი“ 7 დეკემბერს სტუმრად „ვერას“ წინააღმდეგ გამართავს.

* * *

ექსკურსიის მეთოდიკა, პრინციპები, გიდის სტანდარტი - ამ და სხვა საკითხებზე მუზეუმების გიდებმა გადამზადების კურსი გაიარეს. ტრენინგები აჭარის გიდების ასოციაციის ხელმძღვანელმა და ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის მმართველმა ჩაატარეს. გადამზადების კურსი 5 დღე გაგრძელდა და მასში აჭარიდან 20 გიდი მონაწილეობდა. კურსის დასასრულს გიდებს სერტიფიკატები გადაეცათ.

რა პარადიგმა შეცვალა უკრაინამ?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დასავლეთი და რუსეთი ცივი ომისდროინდელ მდგომარეობას უბრუნდებიან, რასაც ცხადყოფს არა მხოლოდ დაწესებული სანქციები და კონტრსანქციები, არამედ გააფთრებული ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. აქ წყდება, გარკვეულწილად, ევროპისა და საქართველოს ბედიც

24 თებერვლის შემდეგ მსოფლიო შეიცვალა, რადგან დამთავრდა მეორე მსოფლიო ომის შედეგებით განსაზღვრული საერთაშორისო მართლწესრიგი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსოფლიო თანამეგობრობა შეთანხმებული იყო, რომ სხვადასხვა ქვეყნის სადავო ტერიტორიების საკითხები მოლაპარაკებების გზით უნდა გადამწყდარიყო და არა - ომით. ეს წესი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის არ დარღვეულა, თუ არ ჩავთვლით ბალკანეთში წარმოებულ ომს სერბებსა და კოსოვოელებს, სერბებსა და ხორვატებს შორის. როგორც ცნობილია, სერბეთი კოსოვოელთა გენოციდის მოწყობისთვის დაისაჯა. ევროკავშირის უმრავლესობამ და აშშ-მა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარეს... რუსეთმა ეს პრეცედენტი გამოწვევად ჩათვალა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებისადმი აგრესია გამოავლინა. მისი ეს დესტრუქციული ქმედებები არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ამის მაგალითია კრემლის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, ყირიმის ანექსია, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციაზე. დასავლეთი რუსეთის ზემოაღნიშნულ დანაშაულზე ამ დრომდე სათანადოდ არ რეაგირებდა, მაგრამ როცა რუსეთმა მთელი უკრაინის დაპყრობა განიზრახა, ცივილიზებული მსოფლიო გამოფხიზლდა და კრემლს რეალური ძალა დაანახა. თავიდათავი ის არის, რომ უკრაინა დღეს იბრძვის მსოფლიო მშვიდობისთვის და ჩვენი მომავალისთვისაც.

დღესდღეობით იქ გადამწყვეტი პროცესები მიმდინარეობს. ბოლო 30 წელია, ეს ქვეყანა დამოუკიდებლობის გზას ადგას, რომელიც რთული და წინააღმდეგობებით სავსეა. „მაიდნის“ მოვლენების შემდეგ უკრაინამ მკვეთრად ევროპული კურსი აირჩია და რუსეთის აგრესიამაც იმატა. ექსპერტები მართებულად აცხადებენ, რომ უკრაინაში იტესტება მსოფლიოს გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა. ამ ომმა ბევრ რამეს ახადა ფარდა. მაგალითად, ევროპის ერთიანობა წარმოაჩინა. ვხედავთ, როგორი თანადგომა და მხარდაჭერა გამოუცხადეს ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა უკრაინას, როგორ ამარაგებენ იარაღით, როგორ ეხმარებიან ფინანსურად. ცხადია, არის პოლიტიკური მხარდაჭერაც, თუმცა გერმანია, საფრანგეთი და უნგრეთი, გარკვეულწილად, რუსეთის პოლიტიკას ლობირებენ დასავლეთში. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ საფრანგეთმა და გერმანიამ 2007 წლის მიწურულს დაბლოკეს საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება. მას შემდეგ 14 წელი გავიდა, დასავლეთის „შეშფოთება-აღშფოთებით“ გათამამებულმა რუსეთმა მნიშვნელოვანი დივიდენდები მიიღო პოსტსაბჭოთა სივრცეში და, როგორც ვთქვით, აგრესიული პოლიტიკა აწარმოა სუვერენული სახელმწიფოების მიმართ...

უკრაინაში მეათე თვეა, გააფთრებული ომი მიმდინარეობს. ცხადია, არა მარტო რუსეთი, თვით დასავლეთიც არ მოელოდა უკრაინელთა ასეთ თავგანწირვას და გმირულ ბრძოლას. ხუმრობა ხომ არ არის: უკრაინული არმია უმკლავდება (ახლა - უკვე ავიწროებს) მსოფლიოში მეორე, ანუ რუსეთის არმიას. უკრაინამ გაათავისუფლა ხერსონი, რამაც რუსი ნაციონალისტები აღაშფოთა. მაგალითად, ალექსანდრე დუგინის აზრით, ქალაქის ჩაბარება არის ღალატი და ამაზე პასუხი ხელისუფლებამ უნდა აგოს. ამ მხრივ უკრაინის პრეზიდენტმა მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: „რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტისგან ულტიმატუმის გარდა არაფერი მსმენია, მაგრამ მე არ დამიხურავს კარი. ვთქვი, რომ მზად ვიქნებით რუსეთთან სასაუბროდ, ოღონდ სხვა რუსეთთან, იმასთან, რომელიც ნამდვილად მზად არის აღიაროს, რომ ისინი ოკუპანტები არიან. მათ უნდა დააბრუნონ ყველაფერი - მიწა, უფლებები, თავისუფლება, ფული და, რაც მთავარია, სამართლიანობა. ჯერჯერობით არ მსმენია მსგავსი განცხადებები რუსეთის ფედერაციისგან“. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ კრემლმა ხერსონი რუსეთის ნაწილად აღიარა, მაინც ნათლად გამოჩნდა, რომ რეალურად ეს ფეიკი ქვეყანაა და არა ზესახელმწიფო.

ვინც ჩახედულია ისტორიაში, არ გაუკვირდებოდა რუსეთის მარცხი და უკრაინელთა გმირული ბრძოლა. კრემლის მმართველებს უყვართ ტრაბახი, რომ რუსეთი ყოველთვის გამარჯვებული იყო და ვერავინ შეძლო მისი დამარცხება, არადა, მოსკოვი რამდენჯერმე გადაწვეს და დაარბიეს ყირიმელმა თათრებმა, პოლონელებმა და ლიტველებმა... პირველ მსოფლიო ომში რუსეთი კატასტროფულად დამარცხდა, რაც შეეხება მეორე მსოფლიო ომს, რომ არა აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერა საბჭოთა კავშირისადმი, წითელ იმპერიას გაუძნელდებოდა გერმანიის დამარცხება, ცნობილია, რომ საბჭოეთს სხვადასხვა იარაღით, ტრანსპორტით, სტრატეგიული მასალებით აშშ და დიდი ბრიტანეთი ამარაგებდა. რა თქმა უნდა, არავინ დავობს „საბჭოთა მოსახლეობის“ (ძირითადად, რუსების, ბელარუსების, უკრაინელების, ქართველების...), ასევე პოლონელების თავგანწირვაზე მეორე მსოფლიო ომში, მაგრამ რომ არა დასავლეთის მძლავრი კოალიცია გერმანიის წინააღმდეგ, არავინ იცის, როგორ დასრულდებოდა ომი.

რაც შეეხება უკრაინელების ბრძოლისუნარიანობას, ისტორიაში ჩახედულებს ეს არ უკვირთ - საუკუნეთა განმავლობაში უკრაინელთა გენეტიკაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კიმერიელებისა და ჰუნების მომთაბარე ტომებმა, რომლებიც უმამაცესი მებრძოლები იყვნენ იმდროინდელ ეპოქაში... აღარაფერს ვამბობ მეორე მსოფლიო ომში უკრაინელთა განსაკუთრებულ როლზე - დასავლეთი და მით უმეტეს რუსეთი, როგორც ვთქვით, არ ელოდნენ უკრაინის ასეთ ბრძოლისუნარიანობას. უნდა დავასკვნათ, რომ პუტინი მრჩევლების მაამებლურ გარემოცვაში იყო. მას ეუბნებოდნენ მხოლოდ იმას, რაც სიამოვნებდა, ხოლო რეალური მდგომარეობა მაქსიმალურად დაუმალეს. რუსეთი ასეთ გაჭიანურებულ ომს არ ელოდა. კრემლის იდეა იყო, ბლიცკრიგით გაევლო უკრაინა, სამ დღეში აეღო კიევი და ერთ კვირაში დაელაგებინა სიტუაცია, ანუ დაესვა იქ მარიონეტული ხელისუფლება... კრემლი არ ელოდა დასავლეთის მძლავრ ეკონომიკურ სანქციებსაც, ცხადია, დასავლეთის მკაფიო მხარდაჭერა რომ არა, უკრაინელებს გაუძნელდებოდათ მტრის შეჩერება. უკრაინაში მდინარესავით შეედინება საბრძოლო იარაღი, აღარაფერს ვამბობთ, სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდებაზე. უდავოა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის ბედს სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი წყვეტს. ესაა: ეკონომიკური სანქციები, დასავლეთის მხარდაჭერა, ანუ იარაღის უკრაინისთვის მიწოდება და მოლაპარაკებები. დასავლური შეიარაღების უპირატესობა რუსულთან შედარებით აშკარად გამოჩნდა, რად ღირს თუნდაც „ჰაიმარსები“, რომლებმაც პრაქტიკულად გაანადგურა რუსული საჯარისო ნაწილები ხარკოვის ოლქსა და ხერსონში... რაც შეეხება ეკონომიკურ სანქციებს, ისინი უფრო საშუალო და გრძელვადიან პერიოდში იქნება ეფექტური, თუმცა გარკვეული ზიანი უკვე მიაყენა რუსეთის ეკონომიკას, ევროპულმა კომპანიებმა დატოვეს რუსული ბაზარი. გარდა ამისა, რუსეთის გასაღების ბაზარი შემცირდა, ასევე ოქროზე ემბარგოს დაწესების პირველადი ეფექტი რუსეთისთვის კატასტროფული აღმოჩნდა, მილიარდობით დოლარის ზარალი ნახა... დასავლეთში უკვე გაიყინა რუსეთის ოქროს მარაგი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსული ეკონომიკის რღვევა დაწყებულია, თუმცა მისი დამარცხებისთვის მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. ამ მხრივ აშშ-მა გარკვეული ნაბიჯები გადადგა. როგორც ცნობილია, ისტორიაში პირველად, ამერიკული გაზის იმპორტმა ევროპაში რუსულს გადააჭარბა. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ძალიან მალეა შესაძლებელი რუსული გაზისა და ნავთობის ჩანაცვლება. ექსპერტები აცხადებენ, რომ ვიდრე დასავლეთი სრულად არ იტყვის რუსულ გაზსა და ნავთობზე უარს, რუსეთს ყოველთვის შეეძლება აგრესიის განხორციელება მეზობლებისადმი.

> *ცხადია, ყველა ომი საბოლოოდ მოლაპარაკებით მთავრდება, მაგრამ აქ ისმის კითხვა - რას გულისხმობენ მხარეები დათმობაში? ვიდრე ამ კითხვას გავცემდეთ პასუხს, მნიშვნელოვან ფაქტორზე გვსურს ყურადღების გამახვილება: უკრაინამ მოახერხა, რომ რუსეთ-დასავლეთის მოლაპარაკებებში მნიშვნელოვანი მხარე იყოს, რასაც ომის შედეგებით მიაღწია. ახლა არცერთი მოლაპარაკება, რომელიც უკრაინას ეხება, მის გარეშე არ მიმდინარეობს*

რა თქმა უნდა, რუსეთს რომ შეეძლოს, მთელ უკრაინას არა მხოლოდ დაიპყრობდა, არამედ მოსახლეობის ასიმილირებასაც შეეცდებოდა, ეს მისი ხელწერაა - ჩეჩენთა, ინგუშთა, ჩერქეზთა გენოციდი და ქართველთა ეთნოწმენდა ამის თვალსაჩინო მაგალითია, მაგრამ ახლა უკრაინაში მარცხდება და დასავლეთის თვალის ასახვევად უკრაინას მოლაპარაკებებს სთავაზობს, რათა როგორმე უკრაინელთა შეტევა შეანელოს. სამწუხაროდ, საფრანგეთისა და უნგრეთის ლიდერები - მაკრონი და ურბანი უკრაინას რუსეთთან მოლაპარაკების გამართვას ურჩევენ, ეუბნებიან, რომ სადავო საკითხები მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს. ცხადია, ყველა ომი საბოლოოდ მოლაპარაკებით მთავრდება, მაგრამ აქ ისმის კითხვა - რას გულისხმობენ მხარეები დათმობაში? ვიდრე ამ კითხვას გავცემდეთ პასუხს, მნიშვნელოვან ფაქტორზე გვსურს ყურადღების გამახვილება: უკრაინამ მოახერხა, რომ რუსეთ-დასავლეთის მოლაპარაკებებში მნიშვნელოვანი მხარე იყოს, რასაც ომის შედეგებით მიაღწია. ახლა არცერთი მოლაპარაკება, რომელიც უკრაინას ეხება, მის გარეშე არ მიმდინარეობს, ანუ 24 თებერვლამდე პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბედს, გარკვეულწილად, რუსეთი და დასავლეთი წყვეტდა მათ საზიანოდ. ასე იყო 2008 წლის აგვისტოს ომში, ყირიმის ანექსიის დროსაც, რომ არაფერი ვთქვათ ნატოს 2007 წლის ბუქარესტის სამიტზე... ანუ კულისებში აგვარებდნენ რუსეთი და დასავლეთი სხვადასხვა ქვეყნის ბედს. უკრაინამ ეს პარადიგმა შეცვალა. იგი სამართლიანად მოითხოვს მთელი ქვეყნის დეოკუპაციას. რუსეთი ამას არ თანხმდება და დროდადრო დასავლეთს ბირთვული იარაღის გამოყენებით აშანტაჟებს. თუ იგი სტრატეგიულ ატომურ იარაღს მართლაც გამოიყენებს, ეს დამანგრეველი იქნება მსოფლიოსთვის. აკი თქვა აშშ-ის მაღალჩინოსანმა, რომ საპასუხოდ აშშ რუსეთის შავი ზღვის საზღვაო ფლოტს გაანადგურებს. თუ რუსეთი ტაქტიკურ ატომურ იარაღს გამოიყენებს თუნდაც კიევში, ამით კრემლი საწადელს მაინც ვერ მიაღწევს, რადგან უკრაინული არმია ერთ ადგილას არ არის განლაგებული, თანაც ამით რუსეთი იზოლაციაში მოექცევა, რაც მისთვის დამანგრეველი იქნება. როგორც ჩანს, დასავლეთი ეტაპობრივად ცდილობს რუსეთის დამარცხებას, რათა მისი პოლიტიკური და სამხედრო ელიტა შეაგუოს დამარცხებას, ომის პერიპეტიები ამას მოწმობს. ახლა გააფთრებული ბრძოლები ლუგანსკისა და დონეცკის რეგიონებში მიმდინარეობს, უკრაინელებმა რამდენიმე დასახლება გაათავისუფლეს. რუსეთის გამარჯვება ან მარცხი უკრაინაში უამრავი ქვეყნის ბედს გადაწყვეტს. თუ რუსეთი დამარცხდა, ეს მნიშვნელოვნად დააჩქარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას, მოგვეცემა ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების შანსიც, რაც უსაფრთხოების გარანტია და ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლების ყველაზე ეფექტური გზა იქნება.

უცხოეთი

ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, რუსეთში წარმოებული ან იქიდან ექსპორტირებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების ფასის ზედა ზღვარი ბარელზე 60 დოლარით განისაზღვრა. გადაწყვეტილება ძალაში გუშინ შევიდა. ფასის ზღვარი შეიძლება პერიოდულად გადაიხედოს ბაზრის ვითარებასთან ადაპტირების მიზნით, ამიტომ ამ ცვლილების შემდეგ 90-დღიანი გარდამავალი პერიოდი დგინდება. გარდა ამისა, 2023 წლის 5 თებერვლიდან რუსული ნავთობპროდუქტების საზღვაო გადაზიდვის აკრძალვა ამოქმედდება. რუსეთის ვიცე-პრემიერ ალექსანდრე ნოვაკის განცხადებით, ქვეყანა ნავთობის ექსპორტს არ განახორციელებს იმ ქვეყნებში, რომლებიც ფასების ლიმიტს აწესებენ.

* * *

უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაზე უნდა ვიფიქროთ, რომელიც რუსეთისთვის უსაფრთხოების გარანტიებსაც გაითვალისწინებს. ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა. „ჩვენ ბაიდენთან ერთ ხაზზე ვართ - დავეხმაროთ უკრაინელებს, წინააღმდეგობა გაწიონ მათი სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაბომბვის ფონზე, ზეწოლა ვიქონიოთ რუსეთზე მოლაპარაკების მაგიდასთან დასაბრუნებლად, უზრუნველვყოთ სამოქალაქო ატომური ენერგეტიკის საკითხებში ესკალაციის არარსებობა და, საბოლოოდ, ვიფიქროთ უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაზე, რომელიც რუსეთისთვის გარანტიებსაც გაითვალისწინებს“, - თქვა მაკრონმა.

* * *

თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ჩრდილოეთ სირიაში 18 ტერორისტი დააკავეს. „ეჭვმიტანილთა საცხოვრებლებში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულია აფეთქებისთვის გამზადებული ხელნაკეთი 10 კილოგრამი ბომბი, 4 ბომბის ელექტრონული მიკროსქემის ჩიპი, კალაშნიკოვის შაშხანა, პისტოლეტი და 253 ვაზნა“, - აცხადებენ უწყებაში.

* * *

ქვეყანაში მიმდინარე ანტისამთავრობო გამოსვლების ფონზე, ირანმა მორალის პოლიცია გააუქმა. ინფორმაციას მედია ირანის გენერალურ პროკურორ მოჰამედ ჯაფარ მონთაზერზე დაყრდნობით ავრცელებს. „მორალის პოლიციას არაფერი აქვს საერთო სასამართლო სისტემასთან“, - განაცხადა მოჰამედ ჯაფარ მონთაზერმა. მისივე თქმით, ირანის პარლამენტი ჰიჯაბის ტარების კანონსაც განიხილავს. ცნობისათვის: მორალის პოლიცია 2006 წელს მოკრძალებისა და ჰიჯაბის კულტურის გასავრცელებლად ყოფილ პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადის მმართველობისას შეიქმნა.

* * *

რუსეთის ფედერაციის სარატოვის ოლქში „ენგელსის“ აეროდრომზე დრონებით თავდასხმა მოხდა. რუსები აცხადებენ, რომ აეროდრომს, რომელიც უკრაინიდან 800 კმ-ზე მეტ მანძილზე მდებარეობს, დრონები დაესხნენ თავს. გავრცელებული ინფორმაციით, ორი Ty-95 ტიპის თვითმფრინავი დაზიანდა და 2 რუსი ჯარისკაცი დაშავდა. 3 ადამიანი დაიღუპა რუსეთის ქალაქ რიაზანთან ახლოს აეროდრომზე ბენზინმზიდის აფეთქების შედეგად.

მოამზადა
ია ფფელიძემ

ეუთო-ოდირისა და ვენეციის კომისიის დასკვნის პროექტში პოზიტიური შეფასებები იკვეთება

ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის განხორციელების ფარგლებში, 5 ოქტომბერს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ინიცირებულ პროექტს, რომელიც მოიცავდა შესაბამის ცვლილებებს საარჩევნო კოდექსსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანულ კანონში, რაც 10 ოქტომბერს ექსპერტული დასკვნისთვის ეუთო/ოდირსა და ვენეციის კომისიაში გაიგზავნა

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა გივი მიქანაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე „საარჩევნო კოდექსსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონში პირველი მოსმენით მიღებულ ცვლილებებთან დაკავშირებით ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის მიერ მომზადებულ წინასწარ დასკვნაზე ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, ეუთო/ოდირმა და

ვენეციის კომისიამ წინსწრებით წარმოადგინეს დასკვნის პროექტი ცვლილებათა პაკეტთან დაკავშირებით, რომლის საბოლოო ვერსიის დამტკიცება ნავარაუდევი აქვთ მომდინარე წლის 15 დეკემბრის სხდომაზე.

- დასკვნაში ერთმნიშვნელოვნად იკვეთება ის პოზიტიური შეფასებები, რომლებიც კონკრეტულ ცვლილებებს უკავშირდება. განსაკუთრებული პოზიტიური აქცენტები დასკვნაში გაკეთებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კანდიდატებისთვის მოთხოვნილი საცხოვრებელი ცენზის შემცირებაზე, ქვედა რგოლის საარჩევნო კომისიების წევრთა და დამკვირვებლების მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის ღონისძიებებზე, არჩევნების შედეგების გადათვლის დამატებითი კრიტერიუმების შემოღებასა და საჩივრების წარდგენის კუთხით გაზრდილ ვადებზე, - განაცხადა გივი მიქანაძემ.

მისივე თქმით, დასკვნის პროექტში, შემდგომი სრულყოფის მიზნით, რიგ საკითხებზე მოცემულია რეკომენდაციები და ისინი უფრო დეტალურად მეორე მოსმენაზე გაიწერება. ასევე, დეტალურად იქნება განხილული დოკუმენტში ასახული თითოეული რეკომენდაცია და მეორე მოსმენისთვის წარადგენენ შესაბამის ცვლილებებს.

- საზოგადოებას ახსოვს, როდესაც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მიერ საჯაროდ გამოცხადდა დეტალური სამოქმედო გეგმა, იქ გაიწერა, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები მიღებული იქნება 2022 წლის ბოლომდე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიისგან ველოდებოდით დასკვნას გაცილებით ადრე, არსებული მოცემულობა გვაძლევს საშუალებას, ეს ცვლილებები სამივე მოსმენით დეკემბრის ბოლომდე მივიღოთ. მოგეხსენებათ, არსებული პრაქტიკით, დასკვნის სამუშაო ვერსია ცვლილებებს ფაქტიურად არ განიცდის. შესაბამისად, ვიხელმძღვანელებთ რა წარმოდგენილი დოკუმენტით, მიმდინარე კვირას იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე განსახილველად იქნება წარდგენილი ცვლილებათა პაკეტი მეორე მოსმენის ფორმატში და მხარდაჭერის შემთხვევაში, მომავალ სასესიო კვირას განხილული და დამტკიცებული იქნება პარლამენტის მიერ, - აღნიშნა მიქანაძემ. მისი თქმით, ცალსახაა, რომ მუშაობა, რომელიც მმართველმა გუნდმა ოპოზიციური სპექტრის ნაწილთან ერთად გასწია გასული თვეების განმავლობაში, დადებითადაა შეფასებული ასეთი მაღალი ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

პროცესისთვის ჩვეული გამჭვირვალეობიდან გამომდინარე, დოკუმენტი, ორივე საერთაშორისო ორგანიზაციასთან წინასწარი კომუნიკაციის საფუძველზე, გამოქვეყნდება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

- მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი დოკუმენტის წარმოდგენისა და თანამშრომლობისთვის. „ქართული ოცნება“ ერთგულია ნაკისრი ვალდებულებების, მაღალი ხარისხით უზრუნველყოს 12-პუნქტიანი გეგმის სრულფასოვანი განხორციელება, რაც კონკრეტული ნაბიჯებითა და აქტივობებით დასტურდება, - აღნიშნა ბრიფინგზე ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ.

პარლამენტის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ხატია დეკანოიძის განცხადებით, ვენეციის კომისიის დასკვნა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების შესახებ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დეკანოიძე აღნიშნავს, რომ 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთის შესასრულებლად კარგი იქნება, თუ მმართველი გუნდი კანონში ოპოზიციის შეთავაზებულ პუნქტებსაც გაითვალისწინებს.

- უნდა დაველოდოთ ვენეციის კომისიის დასკვნას. რაც არ უნდა პესიმისტურ და სკეპტიკურ რეჟიმში ვიყოთ, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ვენეციის კომისიის დასკვნა. არაერთხელ მითქვამს, რომ მათ შორის იმ პროექტში, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა, არის მუხლები, რომლებსაც ვეთანხმებით. ჩვენ, ასევე, წარმოვადგინეთ პროექტი, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. ჩვენს კანონპროექტში ძალიან ზუსტად არის აღწერილი ის პუნქტები,

რომლებიც უნდა დაემატოს იმ კანონს, რომელიც უმრავლესობამ წარმოადგინა. ვფიქრობ, 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთის შესასრულებლად ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენს წარმოდგენილ პუნქტებსაც გაითვალისწინებენ. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, ყველას ესმოდეს, რომ საქართველოს სჭირდება თავისუფალი არჩევნები და ეს სწორედ საარჩევნო კოდექსში უნდა გაიწეროს, - განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

საარჩევნო კოდექსში პირველი მოსმენით მიღებულ ცვლილებებს წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს „გირჩის“ დეპუტატი სანდრო რაქვიაშვილი. იგი ეუთო/ოდირის და ვენეციის კომისიის პირველად დასკვნასთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის წევრ გივი მიქანაძის ბრიფინგს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ თუკი ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს მმართველი გუნდი შეასრულებს, სავარაუდოდ, პროექტი კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

- გავეცნობი რეკომენდაციებს. ზოგადად, ჩვენ პირველი მოსმენის დროსაც დავუჭირეთ ცვლილებებს მხარი. ვთვლით, რომ ეს ცვლილებები წინგადადგმული ნაბიჯია და თუ რეკომენდაციები მოვიდა და მათ დამატებით შევასრულებთ, ჩვენი მხარდაჭერა ექნება თუ იმ რეკომენდაციებში რაიმე წარმოუდგენელი არ წერია. ეუთო/ოდირის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს პოზიტიური დისკუსია იყო და არ მაქვს მოლოდინი, რომ რაღაც განსაკუთრებულად ცუდი დაიწერებოდა. ალბათ, პირიქით, შევძლებთ,

რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ის ცვლილებები, რაც მიღებულია. იმის მიუხედავად, რომ ნაწილს არ ვეთანხმებოდით, საბოლოო ჯამში, მას მხარი დავუჭირეთ, - განაცხადა რაქვიაშვილმა.

ევროკომისიის 12 რეკომენდაციაზე მთავრობის მუშაობის პარალელურად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ვიზიტებს განაგრძობს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი. როგორც ის აცხადებს, მთავარი მიზანი ამ ვიზიტებისა არის პარტნიორებთან საქართველოს წინსვლაზე საუბარი, ახსნა, თუ რა კეთდება 12 რეკომენდაციის დასაკმაყოფილებლად. პარლამენტის თავმჯდომარე ამჯერად, საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, შეხვედრებს ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგში მართავს.

- ვაგრძელებთ ვიზიტს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ესპანეთის, პორტუგალიის, გერმანიის შემდეგ, ჩვენ გვექნება შეხვედრები ნიდერლანდებში და ლუქსემბურგში. ვიზიტების მთავარი მიზანია პარტნიორებთან ევროკავშირში საქართველოს წინსვლაზე საუბარი, ახსნა, თუ რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ 12 რეკომენდაცია დაკმაყოფილდეს, რომ ჩვენთვის იმედგაცრუება იყო, როდესაც ივნისში სტატუსის მონიჭება არ მოხდა. აქ უკვე არის თანხმობა, რომ ეს არ იყო მართებული გადაწყვეტილება. ჩვენ ვისმენთ მხარდამჭერ სიტყვებს ჩვენი პარტ-

ნიორებისგან, - აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა, რომელიც გუშინ უკვე შეხვდა ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების თანამშრომლობის სააგენტოს - ევროჯასტის პრეზიდენტ ლადისლავ ჰამრანს. შალვა პაპუაშვილმა შეხვედრაზე ისაუბრა საქართველოს მიერ ევროკავშირის 12 რეკომენდაციის განხორციელების პროგრესზე, ყურადღება გაამახვილა მართლმსაჯულების რეფორმასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაზე. მხარეებმა საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის განვითარებისთვის მზაობა გამოხატეს.

ლადისლავ ჰამრანმა აღნიშნა, რომ ევროჯასტი მხარს დაუჭერს საქართველოს ევროკავშირის რეკომენდაციების განხორციელების პროცესში. მან ქართულ მხარეს ევროპის უსაფრთხოების გაძლიერებასა და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

- ჩვენ, საქართველოს პარლამენტი და ხელისუფლება ვაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ 12 პუნქტი შესრულდეს. რამდენიმე კანონი უკვე მიღებულია. წლის ბოლომდე კიდევ გვექნება შესაძლებლობა რამდენიმე პუნქტთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილებები მივიღოთ. შემდეგ უკვე ჯერი ევროკავშირზე იქნება, რომ მოგვცეს სამართლიანი შეფასება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

გუშინვე პარლამენტის თავმჯდომარემ ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის დასკვნაზე ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, საარჩევნო კოდექსის ცვლილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის ერთობლივმა დასკვნამ, პირველ რიგში, აჩვენა, რომ სამუშაო ჯგუფისა და შემდეგ კომიტეტის ფორმატი ძალიან წარმატებული პროცესი იყო. ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ოპოზიციას ამ პროექტის მიღებაში არჩართვასთან დაკავშირებული არგუმენტები ხელიდან აქვს გამოცლილი.

- მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო გივი მიქანაძეს, რომელიც სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა. დასკვნა პირდაპირ ასახავს იმ პოზიტიურ ცვლილებებს, რომელიც არის პროექტში, რომელიც ჩვენ უკვე მიღებული გვაქვს პირველი მოსმენით და ამ დასკვნიდან გამომდინარე რა საკითხებიც არის დარჩენილი, ვფიქრობთ, წლის ბოლომდე ამ ცვლილებებსაც კანონმდებლობაში მივიღებთ. რაც შეეხება ოპოზიციის მონაწილეობას, მათ ყველანაირი არგუმენტი აქვთ ხელიდან გამოცლილი, ვინაიდან არის უკვე პროექტთან დაკავშირებით დასკვნა, რომელიც პოზიტიურად აფასებს ყველა ამ ცვლილებას. ასე რომ, რა შეიძლება იყოს მიზეზი არ ვიცი, რომლითაც ისინი ამ პროექტის მიღებაში არ ჩაერთვებიან. ეს ცვლილებები შეეხება საქართველოს ეროვნული მომავლის საკითხებს, 12 პუნქტიდან ერთ-ერთის შესრულებას და, რა თქმა უნდა, ამ ცვლილებაში მონაწილეობის არ მიღება და ამ ცვლილებებისთვის ხმის არ მიცემა, ნიშნავს საქართველოს ევროპული მომავლისთვის ხმის არ მიცემას, - განაცხადა ვიზიტით მყოფმა შალვა პაპუაშვილმა.

შეგახსენებთ: „საარჩევნო კოდექსსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებები ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის დასკვნების შესაბამისად საქართველოს საარჩევნო კოდექსის გადასინჯვას ეხება. ცვლილებების პროექტის მიხედვით, 2024 წლიდან საქართველო ელექტრონულ საარჩევნო სისტემაზე გადავა. ელექტრონული საარჩევნო სისტემა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველთა რეგისტრაციასა და იდენტიფიცირებას, ხმის მიცემას, ხმების დათვლასა და შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურებს გულისხმობს. „საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებებით, ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენებაზე ჯარიმა ორმაგდება და ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენებაზე პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა იზრდება. წესდება საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით არჩეულ წევრთა სერტიფიცირება და შეიქმნება სერტიფიცირებულ კომისიის წევრთა ბაზა. პროექტის თანახმად, თუ საარჩევნო უბანში დათვლის შედეგად დაფიქსირდა 5 ან 5-ზე მეტი ან 10 ან 10-ზე მეტით ნაკლები ბიულეტენი მისულ ამომრჩეველთა რაოდენობასთან შედარებით, საარჩევნო უბანი გადათვლას დაექვემდებარება. მარკირებას დაექვემდებარება ამომრჩეველი, ვინც გადასატანი ყუთით ისარგებლებს. „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებებით, იზრდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ქმედების საოლქო საარჩევნო კომისიაში გასაჩივრების ვადა. ცვლილებების პროექტით, ფართოვდება ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციათა მანდატი.

მოამზადა
ია შველიძემ

> *„საქართველოს პარლამენტი და ხელისუფლება ვაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ 12 პუნქტი შესრულდეს. რამდენიმე კანონი უკვე მიღებულია. წლის ბოლომდე კიდევ გვექნება შესაძლებლობა რამდენიმე პუნქტთან დაკავშირებით შესაბამისი ცვლილებები მივიღოთ. შემდეგ უკვე ჯერი ევროკავშირზე იქნება, რომ მოგვცეს სამართლიანი შეფასება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება*

> *„ჩვენს კანონპროექტში ძალიან ზუსტად არის აღწერილი ის პუნქტები, რომლებიც უნდა დაემატოს იმ კანონს, რომელიც უმრავლესობამ წარმოადგინა*

„დოდოკას“ ფერადი სამყარო

ნანა აბულაძე 577 20 35 90

რაც უფრო მეტი წარმატებული და ძლიერი ქალი იქნება ირგვლივ, მით უფრო მეტად მიეცემათ სტიმული სხვებსაც, რომ თავადაც შექმნან, იბრძოლონ დასახული მიზნებისთვის. ჩვენი სტუმარი წარმატებული ბიზნესლედი, ბრენდ „დოდოკას“ დამფუძნებელი ***დოდოკა მეშარიშვილია****, რომელიც თვლის, რომ არცერთმა ქალმა, არცერთი წუთით არ უნდა შეაჩეროს ბრძოლა წინსვლისა და განვითარებისათვის. ყოველთვის სურდა თავისი შვილებისთვის გემოვნებიანი და განსხვავებული ტანსაცმელი თავად შეექმნა. ქსოვის შესწავლა დაიწყო, ისე მოეწონა ეს საქმე, თანაც იმხელა მოწონება დაიმსახურა მისმა ნამუშევრებმა, რომ გადაწყვიტა, საკუთარი ბრენდი შეექმნა. ასე გაჩნდა „დოდოკა“, რომელიც დღეს ქალის, ბავშვისა და მამაკაცის ნაქსოვ ტანისამოსსა და აქსესუარებს ქმნის. ამბობს, რომ მისთვის ინსპირაციის წყაროა ბათუმია, რომელიც ათასფერ ემოციას აღძრავს მასში, რაც შემდგომ ნამუშევრებში გადააქვს. სწორედ ამიტომაცაა, რომ ისინი განსაკუთრებული ფერადოვნებით გამოირჩევა და მომხმარებლებს ძალიან მოსწონთ.*

- მოგვიყევით როგორ დაიწყო და განვითარდა თქვენი ბრენდი?

- პირველი შვილის დაბადებისთანავე რატომღაც გამიჩნდა სურვილი, ტანსაცმელი თავად შემექმნა მისთვის და გადავწყვიტე, ჩემთვის უცნობი ხელსაქმე, ხელით ქსოვა შემესწავლა. 7 თვე დამჭირდა იმისთვის, რომ კარგად დავუფლებოდი ქსოვის ტექნიკას და შემექმნა განსხვავებული სამოსი, ამავდროულად ამეხდინა სურვილი, ჩემს შვილს ჩემი შექმნილი, განსხვავებული სამოსი ცმოდა. შემდეგ ჩემთვისაც მოვიქსოვე მოსასხამი, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, ასე გაჩნდა ბრენდი „დოდოკა“. სოციალურ ქსელში შევქმენი გვერდი და წარმატებული სტარტაპერი გავხდი. საინტერესოა, რომ ენდობიან და უყვართ „დოდოკა“, ამის დასტური კი ყოველწლიურად მომხმარებელთა რიცხვის ზრდაა. ბრენდი როგორც საქართველოს ყველა რეგიონში, ასევე საზღვრებს გარეთაც იყიდება, რაც სიხარულთან ერთად პასუხისმგებლობასაც მმატებს.

- როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ბრენდის წარმატება?

- იმან, რომ ორიენტირებულნი ვართ ხარისხზე, ვქმნით ხარისხიან პროდუქციას, ორიგინალ, ექსკლუზიურ მოდელებს, სრულად ვართ მორგებული მომხმარებელთა ინტერესებს, რაც განაპირობებს ჩვენ მიმართ ნდობასა და კეთილგანწყობას. მინდა თითოეულ მომხმარებელს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადავუხადო, მათგან მიღებული კომპლიმენტები უდიდესი სტიმულია ჩვენთვის.

- რა გაძლევთ ინსპირაციას მუშაობის დროს, რათა გამორჩეული და ყველასათვის სასურველი პროდუქტი შექმნათ?

- თვალს ვადევნებ მსოფლიო მოდის წამყვან ბრენდებს და ინფლუენსერებს, რომლებიც დღეს ძალიან პოპულარულია ინტერნეტსივრცეში. ჩვენ ვქმნით ნებისმიერ სამოსს ქალების, ბავშვებისა და მამაკაცებისათვის. ზაფხულის სეზონზე ძალიან აქტუალურია საცურაო კოსტიუმებზე გადასაცმელები, ნაქსოვი საცურაო კოსტიუმები, ტოპები და სარაფნები, რომელთა ინსპირაციაც ისევ და ისევ ჩვენი მომხმარებლები არიან. ასევე შთაგონების წყაროა ჩემი საოცარი ქალაქი, რომელიც იმხელა ენერგიას მაძლევს, მზად ვარ ყველა ემოცია, რაც ბათუმის ქუჩებში სეირნობისას მივიღე, ნამუშევრებში ავსახო. პროფესიით მუსიკოსი ვარ, ხშირად მოუხდენია ამა თუ იმ სიმღერას გავლენა, რათა შევქმნა რაღაც განსხვავებული.

- რომელ ფერებს ანიჭებთ უპირატესობას?

- შეიძლება ითქვას, რომ ყველა ფერი მნიშვნელოვანია ჩემთვის, სწორედ ამიტომაა ჩემი ნამუშევრები ფერადი. ზუსტად ეს იწვევს მომხმარებლებში დიდ დაინტერესებასა და აღფრთოვანებას. ჩემი სურვილია, „დოდოკას“ მომხმარებელი მუდამ ფერად განწყობაზე იყოს.

- წარმატება, რომელიც ყველაზე მეტად გეამაყებათ...

- ვფიქრობ, კმაყოფილი მომხმარებელი უკვე წარმატებაა, თუმცა წელს ბრენდი „დოდოკა“ პირველად გახდა ლიდერ ქალთა 2022-ის მიერ ნომინაციაში - „ორიგინალური ბრენდი და დასაქმების ხელშეწყობა“ - გამარჯვებული. ასევე, სულ ახლახან „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამა „მიკრო და მცირე მეწარმეობა 2022-ის“ გრანტის გამარჯვებული გავხდი. მეამაყება, რომ ჩემი შრომა დაფასდა. მჯერა, ჩემი ბრენდის არაერთი წარმატებით ვიამაყებ მომავალში, რისთვისაც არ დავიშურებ ძალასა და ენერგიას.

- თვისებები, რომლებიც გეხმარებათ წარმატებაში?

- ძალიან შრომისმოყვარე ვარ, ბევრჯერ გამირისკავს, არ გავურბივარ სირთულეებს, მიყვარს ახლის ძიება.

- როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი, მისდიო მოდას, თუ გეცვას ის, რაც მოგწონს?

- რა თქმა უნდა, გეცვას ის, რაც მოგწონს და კომფორტულია. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მომხმარებლისთვის კომფორტულია ჩემი სამოსი და ამავდროულად, მოდური, რასაც ხშირად აღნიშნავენ.

- დაბოლოს...

- მჯერა „დოდოკა“ თავის ღირსეულ სიტყვას იტყვის მომავალშიც, სურვილი და მისწრაფება, ქმნიდე ხარისხიანსა და ღირებულს, აუცილებლად დაიმსახურებს კიდევ უფრო მეტ ნდობასა და სიყვარულს.

გინეკოლოგ-რეპროდუქტოლოგის რჩევები - ქალბატონებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

გაზეთ „აჭარის“ სტუმარია ექიმი, გინეკოლოგ-რეპროდუქტოლოგი ***მარინა ბეშანიძე****, რომელიც პროფესიული საქმიანობის გარდა, თავის ცხოვრებასა და ინტერესებზე საუბრობს.*

- რამ განაპირობა ის, რომ პროფესიად ექიმობა აირჩიეთ?

- შეიძლება ითქვას, რომ ექიმების დინასტიიდან ვარ, შესაბამისად, მედიცინა ყოველთვის მიტაცებდა. ოჯახის წევრების, განსაკუთრებით კი დედაჩემის უდიდესი სურვილი იყო, გავმხდარიყავი ექიმი. მართალია, მომწონდა ეს პროფესია, მაგრამ რაღაც პერიოდი, უცხო ენებზე მინდოდა ჩამებარებინა, თუმცა ბოლოს მაინც გადაწონა ექიმობამ. არჩევანს ერთი წუთითაც არ ვნანობ, რადგან სწორედ იქ ვარ, სადაც აუცილებლად უნდა ვყოფილიყავი.

- იყო ექიმი, ნიშნავს...

- „ყველაზე დიდი წამალი სიტყვაა, ხოლო ყველაზე კარგი ექიმი-გონება“. და მაინც, ექიმობა უძლიერესი და განსხვავებული პროფესიაა. ის არ არის მხოლოდ სტატუსი, ის შეუწყვეტელი სწავლა და განვითარება, უძილო ღამეები, რისკები, დიდი პასუხისმგებლობა, გამარჯვებაც და დამარცხებაცაა. პირად „მე“-ზე წინ უნდა დააყენოს ექიმმა თავისი საქმიანობა, რომ წარმატებას მიაღწიოს. იყო ექიმი ნიშნავს, პირველ რიგში იყო პროფესიონალი, საუკეთესო ამ სფეროში. მე მიყვარს ჩემი პროფესია და ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტი შევისწავლო, მეტ სიღრმეს ჩავწვდე.

- გვინდა რჩევა, რეკომენდაცია მისცეთ ჩვენს მკითხველ ქალბატონებს, - როდის და რა ინტენსივობით უნდა მიმართონ გინეკოლოგს გართულებების თავიდან ასაცილებლად?

- ქალბატონებმა, მინიმუმ, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მიმართონ გინეკოლოგს, ჩივილების შემთხვევაში - გადაუდებლად, უშვილობის შემთხვევაში, 35 წლამდე - ერთი წლის განმავლობაში, თუ არ შედგა, 35 წლის ზემოთ - 6 თვის, 40 წლის ზემოთ - 3 თვის განმავლობაში, ქალბატონებო, არ გადადოთ ვიზიტი რეპროდუქტოლოგთან, ამით არაერთ გართულებას და უსიამოვნო პროცესს აირიდებთ თავიდან, რადგან პრობლემის დროულად აღმოჩენა და მკურნალობა, ხშირ შემთხვევაში, ნიშნავს პრობლემის სრულად აღმოფხვრას, ანუ დამარცხებას.

- პანდემიამ შეცვალა თითოეული ადამიანის ცხოვრების რიტმი, ექიმებს განსაკუთრებით შეეხოთ ეს...

- გეთანხმებით, პანდემია მოულოდნელად დაგვატყდა თავს, ამისთვის კი არც მოსახლეობა, არც მედიცინა და არც მედპერსონალი არ ვიყავით მზად. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს სფეროში უმრავლესი პაციენტისთვის დროის ფაქტორი მნიშვნელოვანია, ანუ, რაც უფრო გადაიდებოდა მკურნალობა, მით უფრო ნაკლები იქნებოდა შვილოსნობის ალბათობა, თითქმის შეუჩერებლად ვმუშაობდით და ვასრულებდით ჩვენს ფუნქცია-მოვალეობებს.

- გაგვაცანით თქვენი ოჯახი.

- ჩემი შვილები - დანიელი და ანრი - ღვთის საჩუქრები, დედა და ორი და, მილამაზებენ ცხოვრებას და მაძლევენ ძალას. ჩემი უმცროსი დაც წარმატებული ექიმია და ძალიან ვამაყობ ამით. ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის წევრების მხარდაჭერას, განსაკუთრებით კი ექიმისთვის. ბედნიერი ვარ, რომ ირგვლივ მხარდამჭერების მთელი არმია მყავს, რომლებიც მაძლევენ მოტივაციას და ენერგიას ჩემს საქმიანობასა და ცხოვრებაში. თუნდაც ერთ თბილ და გამამხნევებელ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

- რა არის თქვენი ჰობი, რომელსაც დროს სიამოვნებით უთმობთ?

- მართალია, დრო ნაკლებად მაქვს, მაგრამ როცა მაქვს, სიამოვნებით ვუთმობ ქარგვას, სპორტს და თანამედროვე ცეკვებს.

- შობადობის თვალსაზრისით, რა სიტუაციაა დღეს ქვეყანაში?

- შობადობის მაჩვენებელი დაბალია საქართველოში, მომართვიანობა და მაღალტექნოლოგიური დახმარების მოთხოვნილება - მაღალი. სამწუხაროდ, ხელოვნური განაყოფიერება საკმაოდ ძვირადღირებული პროცედურაა საქართველოს მცხოვრებლებისთვის. დიდი იმედი მაქვს, რომ სახელმწიფო სულ მალე ყველა მოქალაქეს, ვისაც ესაჭიროება მკურნალობა, მხარს დაუჭერს და უზრუნველყოფს - ფინანსურად, რათა ყველას მიენიჭოს უდიდესი ბედნიერება - დედობა. ამავდროულად, მოგვარდეს დემოგრაფიული პრობლემა, რაც აწუხებს ქვეყანას. მინდა თითოეულ ადამიანს, თითოეულ ქალბატონს ჯანმრთელობა ვუსურვო და ვისურვო, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველასთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი იყოს ჯანდაცვა.

„ეს არის არა ჩემი, არამედ მთლიანად საქართველოს მოსახლეობის პოზიცია“

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პოლონეთში ქვეყნის პრეზიდენტ ანდჟეი დუდას ერთობლივ ბრიფინგზე შემდეგი სიტყვით მიმართა (გთავაზობთ მცირედი შემოკლებით).

„ბატონო პრეზიდენტო, მადლობელი ვარ მიღებისთვის. აქ ვიზიტით ვიყავით 2019 წელს, ამის შემდეგ თქვენ იმყოფებოდით ჩვენს ღონისძიებაზე 2021 წელს და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში ახლო მომავალში შედგება... დღევანდელი დღე მართლაც ურთულესი პერიოდია... 10 თვეა, რაც რუსეთმა კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი ნამდვილი სახე, ისევ გამოავლინა თავისი ექსპანსიონისტური, იმპერიალისტური და აგრესიული სახე და 10 თვეა, რაც მიმდინარეობს ეს სასტიკი და უსამართლო ომი უკრაინის მიმართ, უკრაინის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. ამ 10 თვის განმავლობაში უკრაინელმა ხალხმა, მებრძოლებმა, სამხედრო პირებმა, მთელმა საზოგადოებამ აჩვენა, თუ რას ნიშნავს საკუთარი ქვეყნის დაცვა, აჩვენა, რას ნიშნავს არა მხოლოდ საკუთარი თავისუფლების, არამედ მთლიანად ევროპის და ჩვენი - საქართველოსი, როგორც ამ სივრცის ნაწილის თავისუფლების დაცვა. აი, რას ნიშნავს, როდესაც მთელი საზოგადოება არის გაერთიანებული და ამას ვამბობ არა მხოლოდ ზოგადად, ამას ვამბობ ასევე საქართველოსთვის, რომ უკრაინა არის მაგალითი. როცა ერთიანია ქვეყანა, გვერდზე არის გადადებული პოლარიზაცია და ყველაფერი, რაც ერთმანეთს გვაპირისპირებს, ქვეყანა მაშინ არის ძლიერი და შეიძლება ყველაფერს გაუძლოს და, მართლაც, ყველაფერს უძლებს. ამ წუთებშიც ძალიან ძლიერი იერიში არის უკრაინის წინააღმდეგ ზაპოროჟიეში და სხვა ადგილებში, მაგრამ უკრაინა ამასაც გაუძლებს. უკრაინა ერთიანია იმიტომ, რომ იცის - იბრძვის თავისი ქვეყნისა და სამართლისთვის. მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო პრეზიდენტს იმ კომპლიმენტებისთვის, რაც ჩემ მიმართ თქვა, მაგრამ მე აქ წარმოვადგენ და ყველა ჩემი პოზიცია, რაც დავაფიქსირე, არის არა ჩემი, როგორც პირადი პოზიცია, არამედ მთლიანად საქართველოს მოსახლეობის პოზიცია“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ამირან გურიელიძე

არჩილ ფარტენაძე: კარგ ომს ცუდი მშვიდობა სჯობია

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

თითქმის 30-წლიანი განშორების შემდეგ ექიმი არჩილ ფარტენაძე საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. აჭარაში ის პირველი იყო, ვინც პედიატრიაში ჯერ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო წინა საუკუნის მიწურულს - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა. 2022 წელი მის მეცნიერულ, საზოგადოებრივ, თუნდაც პროფესიულ მოღვაწეობაში გამორჩეულად დარჩება. სახალხო დღესასწაულზე «შემოდგომა ქედაში» არჩილს «საპატიო ქედელის» წოდება მიანიჭეს. იგი ჩვენი სტუმარია



- თითოეულ ჩვენგანს როგორც ჰაერი, წყალი და საკვები გვჭირდება არსებობისთვის, ისეა ჩემთვის მშობლიური ქედა. ქედისა და ქედელების გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელმა ზეიმზე რომ მიმიპატიჟა, უარი არ მითქვამს. გულწრფელად გეტყვით, მონატრებული მაქვს ის ზეიმი, რომელიც ჩემი მშობლების თაობის ინიციატივით განახლდა. სტუდენტს, ექიმს მრავალჯერ მქონდა ზეიმზე დასწრების პატივი. მიპატიჟებას თან დააყოლეს, რომ გამოუცხადებლობა დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა. ფრიდონ ხალვაშის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შესვლისთანავე ადგილი იაშა შერვაშიძისა და ვალერიან ალიქაძის გვერდით მიმიჩინეს. გონებაში ათასნაირი ფიქრი მიტრიალებდა. ბურუსი მაშინ გაიფანტა, როცა მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ სცენაზე მიხმო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ «საპატიო ქედელის» დიპლომი საზეიმო ვითარებაში გადმომცა. გული საგულეს აღარ იყო. 65 წლისას რა არ მინახავს, რა არ გადამხდენია, პაციენტის სიცოცხლის შესანარჩუნებლად ლამის საკუთარი სიცოცხლეც დამითმია, მაგრამ ასეთი აღელვებული, ემოციებით დატვირთული სცენას პირველად ვტოვებდი.

- ამ აღიარებამდე მისვლა იოლი არ იქნებოდა...

- ვაჟა-ფშაველას სიტყვებს დავესესხები: «რად მინდა უშინაარსო - სიცოცხლე ოხერტიალი». ინტელიგენტების ოჯახში 1956 წელს დავიბადე. დედა პედაგოგი იყო, მამა - მშენებელი ინჟინერი. საშუალო განათლება ქედის სკოლაში მივიღე. 1973 წელს მაღალი აკადემიური მოსწრებით ამ საგანმანათლებლო კერას გამოვემშვიდობე. ჟურნალისტებთან, თუნდაც პუბლიცისტებთან მრავალჯერ მითქვამს და ახლაც გაზეთ «აჭარის» საშუალებით მადლობა მინდა ვუთხრა იმ მოძღვრებს, რომლებმაც შრომა, ენერგია არ დაიშურეს და პროფესიული მიდგომით დიდ გზაზე გასვლა დამილოცეს.

- ალბათ სკოლის მერხიდანვე ცხოვრების მიზნად სამედიცინო განათლების მიღება გქონდათ დასახული...

- საწყის ეტაპზე, მამის პროფესიაზე გაყოლა ვცადე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაგრამ დიდი კონკურსის გამო ბარიერი ვერ დავძლიე. უქმად დრო რომ არ დამეკარგა, დოსააფის სკოლაში მანქანის მართვის მოწმობა ავიღე. 1975-1977 წლებში ტულის ოლქში არმიაში ვიმსახურე. მძღოლის პროფესია სასიკეთოდ მოვირგე. მესანგრეთა პოლკში მოწინავე ჯარისკაცად ვითვლებოდი. სავალდებულო სამსახურის გავლის შემდეგ, უმაღლესში, მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩარიცხვის ლიმიტი მომცეს. ჩემი მიზანი ისევ და ისევ ინჟინრობა იყო, თანაც - საავიაციო მრეწველობის. ზოგჯერ მიზანი ვერ ამართლებს. იმ პერიოდში ჩემი უფროსი და, ნესტან ფარტენაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ეს ის დროა, დიდ კონკურსში გასვლა ერთეულების ხვედრი რომ იყო. საავიაციო ინსტიტუტი საქართველოში არ იყო. მშობლები, დაც კი, შემომიჩნდნენ - რუსეთში რა გინდა, აქ სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე სცადე ბედიო. საავიაციო ინსტიტუტი მაშინ მხოლოდ ურალისპირეთში, ახლანდელ ეკატერინბურგში იყო. ასე რომ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი.

- სტუდენტობა, შემდგომი პერიოდი რით დაგამახსოვრდათ?

- ინსტიტუტის დასრულების შემდეგ ინტერნატურა ბათუმში გავიარე, რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მთავარ ექიმ, აწ განსვენებულ რეზო პერტიას წარდგინებით, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანხმობით, ინტერნს, ბავშვთა რეანიმაციულ განყოფილებაში, დამოუკიდებლად მორიგეობის ნება დამრთეს როგორც ექიმს, რაც იმ დროისთვის გამონაკლისი შემთხვევა იყო.

- ალბათ ეს ყველაფერი ინსტიტუტში მიღებული საფუძვლიანი ცოდნის გათვალისწინებით?

- ნამდვილად. მეორე კურსიდან თბილისში ვმუშაობდი რეანიმაციულ, ქირურგიულ განყოფილებაში ბავშვთა საავადმყოფოში, რომელსაც მაშინ მეცხრე საავადმყოფოს უწოდებდნენ. გონიერი, ცხოვრებით, პროფესიული საქმიანობით დაბრძენებული ადამიანი ქვეყანას ყველა ეპოქაში ჰყავდა. პროფესორ-მასწავლებლები, გამოცდილი ექიმები ნიჭიერ ახალგაზრდებს გზას გვიხსნიდნენ.

- თუ იყო თბილისში ან კიდევ ბათუმში სამუშაოდ დარჩენის შემოთავაზება?

- ლიმიტი, რომელიც მე ავითვისე, უფლებას არ მაძლევდა, სხვაგან მემუშავა. 1985 წელს დავბრუნდი ქედაში. მუშაობა დავიწყე რაიონული საავადმყოფოს პედიატრიული განყოფილების გამგედ. რამდენიმე თვის შემდეგ - მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარგში. 4 წლის განმავლობაში ჩემთვის სამუშაო საათები არ არსებობდა. ხან ნამონასტრევში მივდიოდი, ხან კიდევ მთებში მყოფ დედებთან და ბავშვებთან. იმ ხანად ქედაში დედათა და ბავშვთა სამედიცინო პატრონაჟი განსაკუთრებული ყურადღების არეალში იყო მოქცეული. აქტიურმა მუშაობამ შედეგიც მოგვცა. მინიმუმამდე დავიდა მუცლად მყოფი და ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ზოგჯერ გულს მტკენს, როცა წარსულს, მაშინდელ ხელმძღვანელებს აქილიკებენ. მაშინდელმა ხელმძღვანელებმა კარგად დაინახეს ჩემი მისწრაფება და გზა გამიხსნეს ქალაქ მოსკოვში პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ასპირანტურაში ჩასარიცხად. რა თქმა უნდა, კონკურსი იქაც იყო, მაგრამ ის ბარიერი იოლად დავძლიე. ეს მოხდა 1989 წელს. მე ასპირანტ-მაძიებელი გავხდი. სამ თვეს ასპირანტურაში ვსწავლობდი, მომდევნო სამ თვეს ქედაში, ჩვეულ რეჟიმში, პროფესიულ საქმიანობას ვაგრძელებდი. 1993 წელს საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი თემაზე: «ინტერლეიკინ ორის წარმოშობა ადამიანებში» (ინტერლეიკინი იმუნიტეტის სტიმულატორია). ის დედის მუცელში ჩასახვისთანავე გამოიყოფა. მაშინ მხოლოდ ინტერლეიკინ ორი იყო ცნობილი, შემდეგ გამოჩნდა სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი და ა. შ. კარგად მახსოვს მეცნიერ-ხელმძღვანელები ნადეჟდა ტორუბაროვა და გალინა იაცინი.

- დისერტაციის დაცვა იმ დროს დაემთხვა, როცა საბჭოთა კავშირი უკვე დაშლილი იყო. უცხოეთში რატომ გადაწყვიტეთ დარჩენა?

- ჩემი მიზანი პედიატრიის განხრით მეცნიერული კვლევა-ძიების გაგრძელება იყო. მაშინ საქართველოში საამისო აღარც ბაზა არსებობდა, ქვეყანაში კი პოლიტიკური არეულობა, ეკონომიკური სიდუხჭირე მძვინვარებდა. ჩემი თაობის მრავალი წარმატებული მეცნიერი, ექიმი ჰაერში გამოკიდებული რჩებოდა. საკუთარ თავს განაჩენი გამოვუტანე და მუშაობა მოსკოვის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გავაგრძელე. პარალელურად სადოქტორო დისერტაციაზეც ბედს ვცდიდი. 1998 წელს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გავხდი. იგი ლაზერების და სხვა გამოსხივების მკურნალობას ეხებოდა, ესეც იმ დროისთვის ნოვაცია იყო.

- შემდეგ წლებში რას საქმიანობდით?

- ინსტიტუტიდან არსად წავსულვარ. ჯერ უფროსი მეცნიერი-მუშაკი ვიყავი, შემდეგ - წამყვანი, მთავარი და ბოლოს დირექტორის მოადგილის სტატუსიც მერგო. ასეთი საფეხურებით ვიარე. ამირჩიეს პროფესორად.

- მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში ლექციების კურსს ან კლინიკებში მუშაობას ხომ არ გთავაზობდნენ?

- ინსტიტუტში ექიმების დახელოვნების კათედრა შეიქმნა და მთელი რუსეთიდან მოწვეულ პედიატრებს ლექციებს ვუკითხავდი. ამ სტატუსმა მრავალ ადამიანთან დამაახლოვა, მათთან ურთიერთობები ახლაც მაქვს.

- ბოლო წლებში საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები მნიშვნელოვნად დაიძაბა. პოლიტიკა რა ადგილს იჭერდა თქვენს მუშაობაში?

- აბსოლუტურად არავითარი გავლენა არ მიგრძვნია. ერთი წუთითაც არავის უთქვამს, ქართველი ხარ და აქ რა გესაქმებაო. ექიმები ისედაც მშვიდობისმოყვარენი ვართ და პოლიტიკა ჩვენგან ყოველთვის შორსაა. არც ისე გამიგოთ, თითქოს იქ მყოფი სამშობლოს ბედზე, მის მომავალზე არ ვფიქრობდი.

- ადამიანთა ერთი კატეგორია მეცნიერებას, კარიერულ წინსვლას წინა პლანზე აყენებს და ოჯახის შექმნაზე ფიქრი უკან რჩება...

- სადოქტორო დისერტაციის დაცვას ოჯახის შექმნა შევუთავსე. ცხოვრების მეგზურად ბათუმელი ნატალია კობალაძე გამოვარჩიე. ორი ქალიშვილის მშობლები ვართ. ისინი 14 და 16 წლისანი არიან.

- შვილებმა სწავლა მოსკოვში დაიწყეს, ახლა ქართულ სკოლაში გადმოვიდნენ. ამან უარყოფითად ხომ არ იმოქმედა მათზე?

- ორივე ქართულ ენას საუკეთესოდ ფლობს. საამისოდ თავიდანვე ვიზრუნეთ. ქართული, რუსული და ინგლისური ენების შესწავლით არიან დაკავებულნი.

- ქალიშვილები მამის პროფესიაზე თადარიგს ხომ არ იჭერენ?

- მარიამი უფროსია. მას პროფესიად ექიმობა აქვს არჩეული. ელიზავეტა ჯერჯერობით გზაჯვარედინზეა და რა სპეციალობას აირჩევს, არ იცის.

- 3 ათეული წელი მოსკოვში გაატარეთ. უკვე მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნდით. რა დატოვეთ და რა დაგხვდათ საქართველოში?

- დავტოვე მორალურად მტკიცე, ტრადიციების მეტ-ნაკლებად მიმყოლი, ნამუსიანი ხალხი, რომელიც ადამიანობას აფასებდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ძველიდან კარგი თითქმის აღარაფერია დარჩენილი. მადლობა უფალს, რომ ყოფილი მეგობრები, ახლობლები, თუნდაც კოლეგები არ მივიწყებენ.

- არდავიწყების დასტური იყო წლევანდელ ზეიმზე თქვენი «საპატიო ქედელად» არჩევა. ამ აღიარებას რა ადგილს მოუძებნით?

- ჩემი ქედელების მადლობელი ვარ. ისინი გრძნობენ ქედისადმი ჩემს სიყვარულს. ქედა და ქედელები ჩემი საფიცარი იყო, არის და იქნება. სად არ ვიყავი, რა არ ვნახე, მაგრამ ქედას ვერაფერზე გავცვლი. გაორმაგებული მოფერებით, მათდამი თანადგომით ვუპასუხებ. სხვათა შორის, ველოდი, წამყვანები გამოაცხადებდნენ, რომ აჭარაში პედიატრიაში პირველი მეცნირებათა დოქტორი ვარ. ეს პასაჟი ჩემს ქედელებს ესიამოვნებოდათ.

- სამშობლოში დაბრუნდით დიდი გამოცდილების მქონე მეცნიერად და პედიატრად. მარტო პენსიით დაკმაყოფილდებით თუ...

- ახლა ნებისმიერი საქმიანობა ბიზნესად არის მიჩნეული. მედიცინა, ისეთია, სანამ ცოცხალი ხარ, პროფესიას უნდა მისდიო. მით უმეტეს, თუ სახელი გაქვს, ბინაზეც მოგაკითხავენ. დღეში, საშუალოდ, 5-6 პაციენტს ვემსახურები. ჩემი მხრიდან ვინმეს უარით გასტუმრება გამორიცხულია. შესაბამისად, პროფესიულ საქმიანობას ვაგრძელებ.

- რომელიმე კლინიკიდან შემოთავაზება თუ გქონდათ?

- იყო შემოთავაზება, მაგრამ ახლა საიმისო ნებისყოფა, რომ კაბინეტში ვიჯდე და პაციენტს ველოდებოდე, ნაკლებად მაქვს. სურვილი მქონდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების კურსი წამეყვანა იმათვის, ვინც ახლა ასწავლის და მათთვისაც ვინც სწავლობს. რატომღაც ჯერჯერობით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა თავს იკავებს.

- თუ გქონდათ შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან?

- შევხვდი ჯერ კათედრის გამგეს, შემდეგ რექტორს. მათ რომ ვჭირდებოდე, ჯერჯერობით საამისო პერსპექტივა არ ჩანს. იმასაც ამბობენ, რომ პედიატრიული სპეციალობა არ აქვთ.

- თუ თბილისიდან იქნება შემოთავაზება, ცხოვრებას და შრომას იქ ხომ არ გააგრძელებდით?

- სამუშაოდ და საცხოვრებლად - ცოტა რთული გადასაწყვეტია. თუმცა ბუნებით შემგუებელი კაცი ვარ, საცხოვრებელი ადგილის, სამუშაო გარემოს შეცვლა არ მიჭირს. თბილისში დიდი სამეგობრო მყავს. თუ გარემოებამ მიკარნახა და თბილისში გადავედი, ვფიქრობ, იქაც კომფორტულად ვიქნები.

- მეუღლე რა სპეციალობისაა?

- რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია.

- ამ ეტაპზე, თავს რუსული პენსიით ირჩენთ?

- საქართველოში საპენსიო ასაკი მამაკაცისთვის 65 წელია. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს კი ვისაც საქართველში შრომითი სტაჟი აქვს, შეუძლია საქართველოში დადგენილი პენსიაც მიიღოს.

- თქვენი გამოცდილების მქონე პიროვნება სამსახურის გარეშე რატომ უნდა რჩებოდეს?

- ეს კითხვა უმჯობესია იმათ დაუსვათ, ვისაც ჩემი დასაქმება ხელეწიფება. ასეც რომ არ იყოს, დიდად მადლობელი ვარ რეგიონის, ქედის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის.

- როგორი იყო ქართველებისა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ურთიერთობები მოსკოვში?

- მე ვიყავი საქართველოს დიასპორის ვიცე-პრეზიდენტი და აჭარის დიასპორის პრეზიდენტი. მოსკოვში მიმდინარე პროცესების ეპიცენტრში ვტრიალებდი. შემიძლია დანამდვილებით და დაბეჯითებით გითხრათ, რომ იქაური სათვისტომო ვერიდებოდით პოლიტიკურ ბატალიებში ჩარევას. არც მასმედიის ყბადაღებულ ჭორ-მართალს ვუჯერებდით და არც ქუჩის პროპაგანდაზე აყოლით ვიყავით დაკავებულები. ჩვენი ორგანიზაცია თავიდანვე აპოლიტიკური იყო. რუსეთში ცხოვრობ, საქართველო გიყვარს. ასეთ ვითარებაში გაჩუმება გმირობის ტოლფასია. ჩვენ ისე წარვმართავდით ორგანიზაციის საქმიანობას, რომ პრეტენზია არავისგან წამოსულა.

- თქვენი შეხედულება საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებზე როგორია?

- ურთიერთობები უნდა დათბეს. ჩვენ დიდი ხნის ისტორიული, თუნდაც რელიგიური ურთიერთობები გვაქვს. უახლოეს მეზობელთან ნახევრადსაომარ მდგომარეობაში ყოფნა, მუდმივად არ უნდა გაგრძელდეს. ისტორიულად ხან ჩვენ ვშველოდით, ხან კიდევ ისინი. მმართველები მიდიან, ერები, ადამიანები ცხოვრებას, თანაარსებობას აგრძელებენ. ჩვენ ყველა უახლოეს მეზობელთან მეგობრული, სუვერენიტეტზე მორგებული დამოკიდებულება გვჭირდება. საუკუნეებია მოვდივართ და 21-ე საუკუნეში კიდევ უფრო მეტი გონიერება გვმართებს.

- კვალიფიციური მეცნიერი, დიასპორის ყოფილი ხელმძღვანელი როგორ აფასებთ საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიციას რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებაში?

- ექიმიც რომ არ ვიყო, მშვიდობისმოყვარე და ჰუმანური პიროვნება ვარ. არცერთი ომი სამართლიანად არ მიმაჩნია. კარგი ომი არ არსებობს. ბრძენს დავესესხები: «კარგ ომს ცუდი მშვიდობა სჯობია». ესაა ჩემი შინაგანი კრედო. ამაზე უკეთესად ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. ქვეყნის ახლანდელი ხელისუფალის პოზიციაც შეიძლება გაამართლო იმიტომ, რომ საქართველოს ამ ომში ჩათრევით ქვეყანას კიდევ ერთხელ დიდი საშიშროების წინაშე დავაყენებთ. საკუთარ პოზიციას ვერავინ შემაცვლევინებს - საქართველოს მთავრობას კარგი კურსი აქვს არჩეული. ზოგიერთ საკითხებში შეიძლება სხვა მოსაზრება მქონდეს, მაგრამ ამ თემაზე ჩემგან შეუთანხმებლობა გამორიცხეთ. ამას ყველგან და ყოველთვის ხმამაღლა განვაცხადებ.

შეხვედრა - გერმანიის ბუნდესტაგის დელეგაციასთან

საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გია ვოლსკი საქართველოში ვიზიტით მყოფ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის დელეგაციას შეხვდა. შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო საქართველოში გერმანიის ბუნდესტაგის „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ (IPS) პროგრამისთვის მონაწილეთა შერჩევა.

„ვისაუბრეთ პრაქტიკული განათლების მიღების საგანგებო მნიშვნელობაზე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, საქართველოში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტების შერჩევა, რომლებიც შემდგომ პრაქტიკას გერმანიის ბუნდესტაგში გადიან. სწორედ ამ მიზნით იმყოფება ეს დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში და უახლოეს პერიოდში ჩვენი რამდენიმე სტუდენტი, სხვა ქვეყნების სტუდენტებთან ერთად, პრაქტიკას ბუნდესტაგში გაივლის. დელეგაციის წევრებთან ვისაუბრეთ აგრეთვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, საქართველოს მისწრაფებებზე ევროკავშირის სტრუქტურებში გასაერთიანებლად“, - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ გია ვოლსკიმ.

შეხვედრას ქართული მხრიდან ასევე ესწრებოდა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის წევრი ანრი ოხანაშვილი.

ამირან ბურიელიძე

ასე იცის რეალური ფაქტების უგულებელყოფამ და ბრიყვულმა თავდაჯერებულობამ

კრემლი დარწმუნებული იყო, რომ უკრაინის შეიარაღებულ ძალებს 10 დღეში დაამარცხებდა. რუსული გეგმის მიხედვით, ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მოშთობის და უწინამძღოლოდ დატოვების შემდეგ, მათი ჩანაფიქრი უკრაინის ანექსიით აგვისტოში უნდა დაგვირგვინებულიყო

სწორედ ამ გეგმის შესახებაა საუბარი ბრიტანეთის გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტის (RUSI) მიერ მომზადებულ ვრცელ კვლევაში. ამ ნაშრომის ავტორებად გვევლინებიან RUSI-ს უფროსი მკვლევარები ჯეკ უოტლინგი და ნიკ რეინოლდსი, უკრაინის თავდაცვისა და უსაფრთხოების ეროვნული საბჭოს ყოფილი უფროსი, ალექსანდრ დანილიუკი და უკრაინის სადესანტო-მოიერიშე ძალების ყოფილი მეთაური მიხაილო ზაბროდსკი.

უნდა ვთქვათ, რომ ეს დოკუმენტი ყველაზე ვრცელი და სრულყოფილი ნაშრომია რუსეთ-უკრაინის ომზე გამოქვეყნებულ მასალებს შორის. ანგარიშის ავტორებმა უკრაინის გენერალური შტაბის მიერ წარმოდგენილი ოპერატიული მონაცემების საფუძველზე შეისწავლეს 24 თებერვლიდან 1 ივლისამდე არსებული პერიოდი და დაგვანახეს თავიანთი ანალიზის შედეგებიც.

ნაშრომის ავტორები ხაზს უსვამენ, რომ უკრაინაში შეჭრის გეგმა უკიდურესად ვიწრო წრემ შეიმუშავა. მთავარი მონაწილე კი რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური (ФСБ) გახლდათ, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის რჩეული გუნდისა და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ზედა ეშელონის ჩართულობით. ცალკე სათქმელია ისიც, რომ უკრაინაში შეჭრის შესახებ რუსეთის გენერალური შტაბის სამმართველოს უფროსის მოადგილეებმაც კი არაფერი იცოდნენ.

როგორც კვლევის ავტორები გვარწმუნებენ, 2021 წლის ივლისში ФСБ-ს მეხუთე განყოფილება გააფართოვეს, რათა უკრაინის ოკუპაციის გეგმის მომზადება დაევალებინათ.

უკრაინის ანექსიის გეგმის მოსამზადებლად ФСБ ძირითადად ამ ქვეყანაში ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევების შედეგებს ეყრდნობოდა, რომლითაც იკვეთებოდა, რომ უკრაინელები პოლიტიკურად ინერტულები იყვნენ, ქვეყნის ხელისუფლების მიმართ კი აპათიურად განწყობილნი, ამასთან, მათი მონაცემებით, უკრაინელები ნაკლებად ფიქრობდნენ რუსეთთან მასშტაბური ომის შესაძლებლობაზე.

კვლევის ავტორების შეხედულებით, სამხედრო მზადების ნაწილში მთავარი იყო რუსეთის გენშტაბის, კერძოდ, ვალერი გერასიმოვის პოზიცია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ათწლიანი განახლების წყალობით, რუსეთის არმია დამაჯერებლად და უპრობლემოდ შეძლებდა უკრაინის შეიარაღებული ძალების დაჩოქებას.

„ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გერასიმოვმა დასავლელ კოლეგებთან შეხვედრაზე განაცხადა - მე ვხელმძღვანელობ მსოფლიოს მეორე ყველაზე ძლევამოსილ არმიას. გარდა ამისა, გერასიმოვმა ბრიტანელ კოლეგებს უთხრა, რომ რუსეთმა აშშ-სთან კონვენციურ სამხედრო პარიტეტს მიაღწია“,- წერია კვლევაში.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრის და ოკუპაციის კონცეფცია ასეთი იყო:

შეჭრის სიჩქარე ოპერაციის მთავარი უპირატესობა უნდა ყოფილიყო, რის შედეგადაც მსოფლიოს რეაქციისთვის შანსი არ უნდა დარჩენოდა;

უკრაინის პოლიტიკური ხელმძღვანელობა უსწრაფესად უნდა გაენეიტრალებინათ, რაც პროორუსულად განწყობილთ პოზიციების გამყარებისა და ოკუპაციის მხარდაჭერის შანსს მისცემდა;

რუსები კომუნალურ სერვისებსა და ფინანსურ სისტემაზე სრული კონტროლის დამყარებას იმედოვნებდნენ, რითაც, მათი ვარაუდით, მტრულად განწყობილი რეგიონების დამორჩილებას შეძლებდნენ;

ეგონათ, რომ რუსეთის არმია უკრაინის შეიარაღებულ ძალებს მოუგებდა ბრძოლის ველზე.

ამ ფონზე, რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული გეგმის კრიტიკული მიმართულებები იყო:

1. მინუმამდე შეემცირებინათ უკრაინის თავდაცვისუნარიანობა, რაც ქვეყნის საჰაერო, საზღვაო და საჰაერო თავდაცვის სისტემების სწრაფ განადგურებას გულისხმობდა;

2. უკრაინის სახმელეთო ჯარების ლიკვიდაცია მათი დონბასში დაკავებით;

3. უკრაინის პოლიტიკური და სამხედრო მეთაურების ფიზიკური მოსპობა, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების გადამწყვეტი მნიშვნელობის ცენტრების ხელში ჩაგდება, უკრაინელების წინააღმდეგობის, ნებისყოფისა და თავდაცვის უნარის ნულზე დაყვანა;

4. უკრაინის ხელისუფლების მოტყუება რუსეთის იერიშის დაწყების დროის, მასშტაბისა და შეტევის მთავარ მიმართულებებთან დაკავშირებით.

იმაზე, რომ რუსეთის თავდაპირველი გეგმით, უკრაინული არმია 10 დღეში უნდა დაეჩოქებინათ, აგვისტოში კი ქვეყნის ანექსიაც მოეთავებინათ, სხვა მონაცემებთან ერთად, გაქცეული რუსული დანაყოფების შტაბებში, კიევის შემოგარენში აღმოჩენილ დოკუმენტებშია საუბარი. ხსენებული კვლევის ავტორთა აზრით, რუსეთის გეგმაში თავს იჩენდა არაერთი წინააღმდეგობა - გეგმა ერთდროულად გულისხმობდა უკრაინის პოლიტიკური მთლიანობის მოშლასაც და პოლიტ-სამხედრო ხელმძღვანელობის შეცდომაში შეყვანასაც, რასაც საკმაოდ დიდი დრო და სამუშაო უნდა დასჭირვებოდა, შეჭრის ოპერაცია კი დამანგრეველ სისწრაფეზე იყო გათვლილი. კვლევის ავტორებისვე აზრით, კრემლი თავისი სანუკვარი გეგმის შემუშავების საწყის ეტაპზე ოპტიმისტურად მიკერძოებული იყო, რაც სწრაფი უპირატესობის მოპოვებით დამაბნეველ ეფექტს ემყარებოდა. ამას ძირი უნდა გამოეთხარა უკრაინელების ნებისყოფისთვის. რა პარადოქსია, რომ ამ

იხ. მე-8 გვ.

უკრაინა

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ დაახლოებით სამი მილიონი უკრაინელი რუსეთში იძულებით გადაიყვანეს, - ამის შესახებ უკრაინის უმაღლესი რადას ადამიანის უფლებათა კომისარმა დიმიტრი ლუბინეცმა განაცხადა. „თებერვლიდან მოყოლებული მინიმუმ 2 მილიონ 800 ათასი უკრაინელი იძულებული გახდა გადასულიყო ან დეპორტირებულ იქნა რუსეთის ტერიტორიაზე“, - აღნიშნა უკრაინის ომბუდსმენმა.

* * *

რუსმა ოკუპანტებმა ზაპოროჟიეს სამრეწველო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებს რაკეტები დაუშინეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია ზაპოროჟიეს საქალაქო საბჭოს მდივან ანატოლი კურტევზე დაყრდნობით ავრცელებს. „ამჯერად ოკუპანტებმა თავიანთი დაწყევლილი რაკეტებით ქალაქის სამრეწველო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებს დაარტყეს. ცნობილია, რომ ერთ-ერთი კერძო საწარმო დაზიანდა“, - წერს კურტევი. მისი თქმით, ამ დროისთვის ზარალისა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია ზუსტდება.

* * *

ჩვენი თავდაცვის ძალები მყარად იკავებენ პოზიციებს და ურთულეს მიმართულებებსაც კი, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. მისი თქმით, ამჟამად ურთულესი მდგომარეობაა ბახმუტში. „რამდენჯერ დაგეგმეს ოკუპანტებმა მთელი დონბასის აღება, ბახმუტში შესვლა. რამდენჯერ გამოაცხადეს ახალი ვადები წინსვლისთვის, გამარჯვებისთვის. ჩვენი ბიჭები ნამდვილი გმირები არიან. ჩვენი მთავარი ამოცანა როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე ხალხისთვის არის, რომ ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენი თავდაცვის ძალების მხარდასაჭერად, გავაძლიეროთ თავდაცვის ძალები. ვიცი, რა რთული ვითარებაა ბახმუტში, დონბასში. ბიჭებო, გამაგრდით! მე თქვენთან ვარ, ხალხი თქვენთანაა. ამ ამოცანის შესასრულებლად, წარმატებით შესასრულებლად ყოველთვის მხარი უნდა დავუჭიროთ ერთმანეთს. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ეხმარება უკრაინას გაძლიერებაში და ვინც ამ ზამთრის შემდეგ აუცილებლად შეძლებს თქვას, რომ ჩვენი გამარჯვების მოახლოება მისი პირადი შედეგი, პირადი მიღწევაცაა“, - აცხადებს ზელენსკი.

* * *

უკრაინის შესაძლებლობა, შეინარჩუნოს სამხედრო ინიციატივა და განაგრძოს მისი ამჟამინდელი ოპერაციული წარმატებების იმპულსი, დამოკიდებულია უკრაინული ძალების მიერ 2022-2023 წლების ზამთრის განმავლობაში თანმიმდევრული ოპერაციების განხორციელებაზე, - ამის შესახებ ამერიკული „ომის შესწავლის ინსტიტუტი“ იუწყება. ორგანიზაციის ანალიტიკოსები უკრაინის ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ უკრაინული ძალები ზამთარში შეტევითი ოპერაციების გაგრძელებას გეგმავენ, რათა გამოიყენონ ბრძოლის ველზე მიღწეული ბოლოდროინდელი წარმატებები და ხელი შეუშალონ რუსულ ძალებს ბრძოლის ველზე ინიციატივის დაბრუნებაში. „რუსეთმა დაკარგა ინიციატივა 2022 წლის ზაფხულში დონბასში მისი შეტევის კულმინაციის შემდეგ. უკრაინულმა ძალებმა მოიპოვეს და შეინარჩუნეს ინიციატივა 2022 წლის აგვისტოდან და მას შემდეგ ახორციელებენ წარმატებული თანმიმდევრული ოპერაციების სერიას: უკრაინამ გაათავისუფლა ხარკოვის ოლქის უმეტესი ნაწილი - სექტემბერში, ქალაქი ხერსონი - ნოემბერში და ამჟამად აყენებს პირობებს ზამთარში მეტი წინსვლისთვის. უკრაინის შესაძლებლობა, შეინარჩუნოს სამხედრო ინიციატივა და განაგრძოს მისი ამჟამინდელი ოპერაციული წარმატებების იმპულსი, დამოკიდებულია უკრაინული ძალების მიერ 2022-2023 წლების ზამთრის განმავლობაში თანმიმდევრული ოპერაციების განხორციელებაზე“, - აცხადებენ ორგანიზაციაში.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი, ვოლოდიმირ ზელენსკი ბრიტანულმა გამოცემა Financial Times-მა წლის ადამიანად დაასახელა. გამოცემა წერს, რომ ზელენსკიმ გამოიყენა სოციალური მედია დასავლური სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად დაუღალავი კამპანიისთვის. მან დაარწმუნა ევროპელები, რომ გაიღონ პუტინთან დაპირისპირების უზარმაზარი ხარჯები და კიევს ევროკავშირში გაწევრიანების გზა შესთავაზონ. „უკრაინის პრეზიდენტი გახდა დემოკრატიული სამყაროს ფლაგმანი ავტორიტარიზმის წინააღმდეგ გლობალურ ბრძოლაში, რომელმაც შეიძლება განსაზღვროს 21-ე საუკუნის კურსი. ზელენსკი ასევე განასახიერებს უკრაინელი ხალხის გამბედაობას და გამძლეობას რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ამ მიზეზების გამო აირჩია Financial Times-მა ზელენსკი წლის ადამიანად“, - წერს აღნიშნული გამოცემა. რუსეთის სრულმასშტაბიანი შემოჭრის პირველ დღეებსა და კიევში დარჩენის გადაწყვეტილების გახსენებისას, ზელენსკიმ Financial Times-ს განუცხადა: „მე უფრო პასუხისმგებლიანი ადამიანი ვარ, ვიდრე მამაცი, ვერ ვიტან ადამიანების იმედგაცრუებას“. გამოცემა წერს, რომ „რუსეთის შეჭრის დასაწყისში ზელენსკის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, დარჩენილიყო კიევში და არ დათანხმებოდა აშშ-ის შეთავაზებას ევაკუაციასთან დაკავშირებით, ომის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მომენტი იყო, რომელმაც უკრაინელ სამხედროებსა და ხალხს წინააღმდეგობის გაწევისკენ მოუწოდა. ეს მოულოდნელი იყო უკრაინელებისა და დასავლელი მოკავშირეებისთვის, რომლებსაც დაბალი მოლოდინები ჰქონდათ ქვეყნის პოლიტიკური ლიდერებისგან“.

* * *

ასტრონომიას კრემლში არ სწავლობდნენ, თორემ ეცოდინებოდათ: თუ სხვა ქვეყნების საჰაერო სივრცეში რამეს უშვებ, ადრე თუ გვიან უცნობი მფრინავი ობიექტები საწყის პუნქტს დაუბრუნდებიან, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი „ტვიტერზე“ წერს. როგორც ცნობილი გახდა, რუსეთის ფედერაციის სარატოვის ოლქში „ენგელსის“ აეროდრომზე დრონებით თავდასხმა მოხდა, რის შედეგადაც ორი რუსული Ty-95 ტიპის თვითმფრინავი დაზიანდა და ორი რუსი ჯარისკაცი დაშავდა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

განცხადება

შპს «გაზეთ აჭარისა და ადჟარიას» კოლექტივი თანაუგრძნობს ეთერ ხომერიკს ძმის
ნუგზარ ხომერიკის
გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 5/12/22, 22 00 **სთ.**

დირექტორი
მამუკა ბერიძე

აჭარის ჩემპიონები

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, მუხრან ვახტანგაძის ბათუმის სპორტის სასახლეში აჭარის ჩემპიონატი ჩატარდა ელვისებურ ჭადრაკში ვაჟთა და ქალთა შორის. საპრიზო ადგილებისთვის 34 მოჭადრაკე იბრძოდა. ჩემპიონატი ფიდეს წესებითა და შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად ჩატარდა, სადაც ითვლებოდა საერთაშორისო რეიტინგი. ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა ჯამბულ მახარაძემ, მეორე ადგილზე გავიდა ზვიად ქამადაძე, მესამეზე - ალექსანდრე რუხაძე. ქალთა შორის პირველი იყო თინათინ ბერიძე, მეორე ადგილი კესარია მგელაძემ მოიპოვა, მესამე - ნინო ჟღენტმა.

საპრიზო ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს დიპლომები და მედლები გადაეცათ, ჩემპიონებს - თასებიც.

ჟურნალისტები და... ჭადრაკი

მუხრან ვახტანგაძის ბათუმის სპორტის სასახლეში „ბათუმის თასის“ ჩემპიონატი გაიმართა ჟურნალისტებს შორის, რომელიც აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით მოეწყო (პრეზიდენტი - სალომე მელია).

ეს იყო სიყვარულითა და სითბოთი სავსე წუთები - ბათუმში მოქმედი მედიასაშუალებების წარმომადგენლებს სალომე მელიამ შესანიშნავი დასვენების საათი მოუწყო. ხშირად ამბობენ, რომ მთავარი მონაწილეობაა და არა - მოგება, მაგრამ...

ჩემპიონატი ფიდეს წესების სრული დაცვით ჩატარდა, წრიული სისტემით ცხრა ტურად.

ტურნირი დაუმარცხებლად განვლო აჭარის ტელევიზიის წარმომადგენელმა დავით ფარტენაძემ, რომელმაც 8-დან 8 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაისაკუთრა. მეორე და მესამე ადგილებიც ასევე აჭარის ტელევიზიის წარმომადგენლებმა ირაკლი ქათამაძემ და სოსო სტურუამ დაისაკუთრა.

ქალთა ნომინაციაში ჯილდო მოიპოვა გაზეთ „აჭარის“ ჟურნალისტმა ხატია იაშვილმა.

საპრიზო ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს გადაეცათ დიპლომები, მედლები, პირველ ადგილზე გასულ მოჭადრაკეს დამატებით - თასი.

აჭარის ჭადრაკის ფედერაციამ სამახსოვრო ფასიანი საჩუქარი თითოეულ მონაწილეს გადასცა.

მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა

„ესპანეთს მაროკოსი უნდა ეშინოდეს“

მადრიდში დაბადებულმა მაროკოს ნაკრების 24 წლის მცველმა აშრაფ ჰაკიმიმ „მარკასთან“ ინტერვიუში მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთთან მომავალი მატჩის შესახებ ისაუბრა:

„ესპანეთის ეროვნული გუნდი კლასით ამ ტურნირზე ტოპ 5-ეულშია. მათთან დაპირისპირება გველის, მაგრამ ჩვენ საკუთარ თავში დარწმუნებული ვართ. შევეცდებით, ჩვენი თამაში ვითამაშოთ და გავიმარჯვოთ. ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ და ცოტა პატივისცემა დავიმსახურეთ. დარწმუნებული ვარ, ესპანეთს ეს ესმის და ცოტა უნდა ეშინოდეს. მართლა, მათ ჩვენი უნდა ეშინოდეთ. მაროკოს ისტორიაში შესვლა და არაბული სამყაროს მენტალიტეტის შეცვლა სურს. არაბულ გუნდებს დიადი საქმეების კეთება შეუძლიათ. ჩვენ ამას ვაკეთებთ, განსაკუთრებით, მსოფლიო ჩემპიონატზე...

მიხარია, რომ აფრიკულმა გუნდებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს, ვინაიდან ეს კარს მათ გაუღებს, ვინც უკან იყო. ახლა ჩვენ კარს სხვებს გავუღებთ.

ამირან გურიელიძე

რა ფორმატით შეიძლება ჩატარდეს 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატი?

როგორც ცნობილია, მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდების რაოდენობა 16-ით გაიზრდება და 48-ს შეადგენს. ფიფა 3 ფორმატს განიხილავს. მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანოს 2026 წლის მუნდიალის ჩატარებისთვის შემდეგი ვარიანტები აქვს:

1) 16 ჯგუფი, თითოეულში - 3 გუნდი, საიდანაც 2 საუკეთესო პლეი-ოფში გავა;

2) 12 ჯგუფი, 4 გუნდი. პლეი-ოფში გადის 2 გუნდი და საუკეთესო მესამეადგილოსნები;

3) ნაკრებები დაიყოფიან ორ 24-გუნდიან ნაწილად, თითოეულში იქნება 6 ჯგუფი 4 გუნდით, თითოეული ჯგუფის გამარჯვებული კი პლეი-ოფში გავა.

შეგახსენებთ: 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ერთდროულად სამ ქვეყანაში - აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში ჩატარდება.

ამირან გურიელიძე

ასე იცის რეალური ფაქტების უგულებელყოფამ და ბრიყვულმა თავდაჯერებულობამ

მე-7 გვერდიდან

მხრივ იმ გერმანელი ფაშისტების ელვისებური გამარჯვების ჩაშლილ იმედებს მოგვაგონებენ, რომელთა დამარცხებისთვის ერთად იბრძოდნენ რუსებიც და უკრაინელებიც სხვა საბჭოთა ქვეყნებთან ერთად. მოკლედ, რუსები მოულოდნელობის დამაბნეველ ეფექტს გადაჰყვნენ და დაივიწყეს წარმატებისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები.

აღნიშნული გეგმის მიხედვით, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, უკრაინაში შეჭრიდან 10 დღის შემდეგ, ძირითადად, მხარდამჭერი ფუნქციაღა უნდა დარჩენოდათ, უკრაინის საოკუპაციო ადმინისტრაცია კი სპეცსამსახურებს უნდა შეექმნათ და გაემართათ.

ოკუპაციის იმედით თვალ და გულდაბნელებულ კრემლის მესვეურებს ეგონათ, რომ რუსეთის ელვისებური მოქმედება ისე დააბნევდა უკრაინის მთავრობას, რომ ქვეყნიდან მოძუძგავდნენ ან მათ ნეიტრალიზებას შეძლებდნენ. ელვისებურ იერიშს ჩანასახშივე უნდა ჩაეკლა უკრაინული სახელმწიფოს და საზოგადოების მობილიზება.

სავარაუდო საზოგადოებრივი უკმაყოფილებისა და საპროტესტო გამოსვლების ალაგმვა და უკრაინის სამოქალაქო სექტორის დეზინტეგრაცია წერტილოვანი დარტყმებით უნდა მოეხერხებინათ. ეს ფუნქცია როსგვარდიის ნაწილებს ეკისრებოდათ, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე საპროტესტო აქციების დაშლაში არიან დაოსტატებულნი. რაც შეეხება უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნების განეიტრალებას, ეს ФСБ-ს პრეროგატივა გახლდათ.

უკრაინელების რუსეთის კონტრდაზვერვისეული კლასიფიკაცია ასეთია:

1. უკრაინელები, რომლებიც ფიზიკურად უნდა გაენადგურებინათ;

2. ისინი, ვისაც რეპრესიებსა და დაშინებას უპირებდნენ;

3. ვინც ნეიტრალურებად მიაჩნდათ და შესაძლოა კოლაბორაციაზე დაეყოლიებინათ;

4. ვინც მზად იყვნენ კოლაბორაციისთვის.

ФСБ-ს გეგმით, უკრაინის პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების ლიკვიდაციის ოპერაცია რუსეთის ელიტურ სადესანტო ძალებს (ВДВ) უნდა შეესრულებინათ. ძირითად შემთხვევაში, რუსების სამიზნეებს წარმოადგენდნენ უკრაინელები, რომლებიც მონაწილეობდნენ 2014 წლის მაიდნის რევოლუციაში.

მეორე კატეგორიის უკრაინელების მიმართ რუსებს მეთოდური მიდგომა ჰქონდათ, არსებობდა ამ კატეგორიაში მოაზრებული უკრაინელების სია, თუმცა იგეგმებოდა ამ სიის გადამოწმება კარდაკარ რეიდებში და მათი მოთავსება ე. წ. საფილტრაციო ბანაკებში.

საფილტრაციო ბანაკებში უკრაინელების მოთავსების მიზანი, მათი დაშინება და იმ პირების გამოვლენა იყო, რომლებიც ნეიტრალიზებისთვის რუსეთში უნდა გადაეყვანათ. ამ ბანაკების ფონზე, უნდა შექმნილიყო ბაზა, რომელიც უკრაინული წინააღმდეგობის ქსელის საქმიანობას დააკვირდებოდა და ეფექტურად გაანეიტრალებდა. თავის მხრივ, უკრაინელთა „გადამზადებისთვის“ რუსეთიდან მასწავლებლების და სპეციალისტების ჩამოყვანასაც აპირებდნენ.

რუსეთის სტრატეგიას ჰქონდა როგორც რეგიონალური, ასევე ნაციონალური ელემენტიც - რეგიონულ დონეზე სტრატეგია ადგილობრივი ხელისუფლების ჩინოვნიკების იძულებას ითვალისწინებდა. ეროვნულ დონეზე, რუსეთის სტრატეგია მოიაზრებდა ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერების ლიკვიდაციას და პარლამენტის შენობის აღებას. უკრაინის რადაში არსებულ პრორუსულ პარტიას უნდა ჩამოეყალიბებინა ე. წ. მშვიდობის მოძრაობა, რომლის მხარდაჭერასაც აიძულებდნენ პარლამენტის სხვა წევრებს. აღნიშნულ „მშვიდობის მოძრაობას“ უნდა აეკრძალა რუსული ოკუპაციის საწინააღმდეგო მოძრაობა. რეგიონებს, რომლებიც ოკუპაციას შეეწინააღმდეგებოდნენ, შეუწყდებოდათ ელექტროენერგიაც და ფულის ცენტრალური ბანკიდან მიწოდებაც.

რუსულ სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა უკრაინის ატომურ ელექტროსადგურებს - ეს ობიექტები უნდა გამხდარიყო რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობის თავშესაფარი, აქ უნდა განთავსებულიყო საოკუპაციო ძალების შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების საწყობები და, რა თქმა უნდა, ატომურ ელექტროსადგურებზე კონტროლის დამყარება ნიშნავდა უკრაინის ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე კონტროლსაც. ატომურ ელექტროსადგურებზე უკრაინის დენის ჯამური გამომუშავების 60% მოდის. ეს ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანი იყო კიდევ ერთი თვალსაზრისით - ამ ნაბიჯით რუსებს ეძლეოდათ დასავლური თანამეგობრობის შანტაჟისა და დაშინების ინსტრუმენტი. ამავდროულად, ხაზგასასმელია პროპაგანდისტული მიმართულებაც, რადგანაც კრემლის პროპაგანდა, უკრაინაში შეჭრამდე რამდენიმე თვით ადრე, არ იშურებდა გზავნილებს, რომელთა თანახმადაც, უკრაინა ატომური შეიარაღების პროგრამაზე მუშაობდა.

2021 წლის შემოდგომაზე, უკრაინის სახელმწიფო საზღვართან გადაყვანილმა სამხედრო ნაწილებმა მიიღეს განკარგულება, რომ თავიანთი მუდმივი დისლოკაციის ადგილს კიდევ 9 თვის განმავლობაში ვერ დაუბრუნდებოდნენ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ რუსეთის გეგმით, უკრაინაზე სრული კონტროლის დამყარების გეგმა 2022 წლის ზაფხულისთვის უნდა დასრულებულიყო.

კვლევის ავტორების აზრით, რუსეთის გეგმა იყო დეტალიზებული და იძლეოდა ყველა იმ სავარაუდო პრობლემის გადაჭრის გზებს, რაც შესაძლოა საოკუპაციო ადმინისტრაციას უკრაინის ტერიტორიაზე შექმნოდათ. ამ გეგმის სრული აღსრულების შემთხვევაში, რუსეთის ძალისხმევა შესაძლოა წარმატებულიც ყოფილიყო - მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საბაზისო ვარაუდი უკრაინის წინააღმდეგობის მინიმალურობასთან დაკავშირებით, უკიდურესად მცდარი იყო. სამხრეთ უკრაინაში განვითარებული მოვლენები მიანიშნებს, რომ უკრაინის მთავრობის განადგურების შემთხვევაში, რუსებს შეეძლოთ დაკავებულ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება.

ანალიზის ავტორების ირწმუნებიან იმასაც, რომ რუსული გეგმის წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი, გეგმის უკიდურესად გასაიდუმლოება იყო, მის ფარგლებში კი არ შემუშავებულა სარეზერვო გეგმა - საოკუპაციო გეგმის კომპრომეტირების შიშით, ბატალიონის ტაქტიკურმა ჯგუფებმა მოქმედების ბრძანება შეჭრის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მიიღეს.

კრემლის მესვეურების იმედიანი და მიკერძოებული პროგნოზების გამო არსებული გეგმის კრიტიკული ანალიზიც ვერ მოიფიქრეს და არც საჭირო სიფრთხილის შემცველი ის კითხვები დასვეს, რომლებითაც სავარაუდო მოქმედებათა ჯაჭვის სუსტ რგოლებს გამოავლენდნენ.

როგორც ვხედავთ, რუსი სალდაფონებისა და რუსეთის იმპერიალისტური ზრახვებით გონებადაბნელებული ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ბრიყვულმა თავდაჯერებამ სამართლიანობის გამარჯვებისკენ წაიყვანა მოვლენები, ისინი არა მარტო ხსენებული გეგმის ჩაფლავების მოწმენი გახდნენ, არამედ, ჩვენი დიდი იმედით, მალე თავზე ჩამოენგრევათ შეკოწიწებული ქვეყანაც.

მოამზადა
მარი მიდასელმა